

საპრემიერ გაზეთი

№15 (654)
ოთხშაბათი
4 მაისი,
2022 წ.
ფასი 1.50 ლ.

„სივილიზებული სამყარო“ ველური „ფილოსოფიით“ და საქართველო, რომელიც 30 წელია „სიღამონოვიჩის“ გზით მიდის



ერეკლე საღლიანი:
მსოფლიო პოლიტიკაში
შეურაცხადი
აღაშიანები მოვიდნენ,
რასაც შეიძლება
კანონრიობა
შეენიროს

რამაზ საყვარელიძე:
ეს არ არის
რუსეთ-უკრაინის
ომი, ეს მესამე
მსოფლიო
ომია!



ბელა ზედელაშვილი: ალაოდამოფნი და მიხეილ ნაყბაული

**ვის ებრძვის
უკრაინის
ხელისუფლება
— საქართველოს
თუ რუსეთს?**

მოვა დრო და შეიძლება
გაიყვანს ბრძანება:
«Арестовать
Арестовича!»



„ევროპაში
პოლიტიკოსები
აღარ არიან,
დარჩნენ
მხოლოდ
საშუალო დონის
რინოვნიკები“



მოდლაბეთა პარტია —
„ნახმოქრაობა“
საქართველოს
მარიუპოლის გელს
უგზადებს

სიტყვა, რომორც მახვილი

ათი ქვეყანა,
რომლებსაც
სხვა ქვეყნებთან
არასოდეს უოფიათ

„საპრემიერ გაზეთი“ — გაზეთი მთაწკრივზე გაითხველიანთქით



მართალია, ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი — საქართველოში არ არის ომის პარტია, საქართველოში არის მოღალატეთა პარტია, რომლის პოლიტიკური „კლიჩაა“ „ნაცმოძრაობა“.

ვახტანგ სარჩილაძე

„ნაცმოძრაობა“, ნუ მოღალატეთა პარტია, თავისას არ იშლის და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ საქართველოში როგორმე მეორე ფრონტი გაიხსნას რუსეთის წინააღმდეგ.

იგივეს ითხოვენ ზელენსკი, არახნია, არესტოვიჩი, კულება და უკრაინის ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები.

მათი მესმის და ისიც გასაკვირია, რა სარგებელს გამოელონ საქართველოში გახსნილი მეორე ფრონტიდან ნაცების უკრაინელი კოლეგები, მაგრამ ამით, ამ მოღალატეთა პარტიას რა ხეირი თუ საქართველო ცეცხლის ალში გაეხვევა, გადაიბუგება, დაინგრევა და დაილეწება?

დმერთმა ნუ ქნას და თუ ასე მოხდა, რუსული ბომბები მხოლოდ „ქართულ ოცნებას“ და მის მხარდამჭერებს დაახინებს, მაგრამ ნაცებს, მათი სექტის წევრებს ნარნარად აუვლის გვერდს?

ნაცებს რაციონალური აზროვნება ცოტა კი უჭირთ, მაგრამ იმდენი ნამდვილად იციან, რომ ბომბებს და რაკეტებს პოლიტიკური ნიშნით არც ადამიანების გარჩევა და დახარისხება შეუძლიათ და არც იმის გამოცნობის უნარი აქვთ, ვის ეკუთვნის ესა თუ ის სახლი თუ სასახლე?

ბომბები თუ რაკეტები ერთნაირი სისასტიკით ანადგურებენ და ანგრევენ ყველაფერს, ხოლო გასანადგურებელი და დასანგრევი თუ ვინმეს აქვს, სწორედ თქვენ გაქვთ, ნაცებო — სასტუმროები, რესტორნები, მარკეტები, სუპერმარკეტები, კლინიკები, პოლიკლინიკები, უმაღლესი სასწავლებლები, ტელევიზიები და კიდევ ათასი სხვა „ხარახურა“, რომლებიც თქვენი მმართველობის დროს ხელს გამოაყოლებთ და ხაზვივით შეირჩინეთ.

დასანგრევი თქვენ გაქვთ, ნაცებო, თორემ მე ერთი მოფახფახებული ქოხი მიდგას ჯადირაში და, არა მგონია, მის დასანგრევად რუსებმა ბომბი გაიმეტონ.

რის მიღწევას ცდილობთ, თქვენ, ნაცებო, რა გინდათ, ეშმაკი რომ შეგჯდომიან ტანში და ეს ცნობილი მხალალები და ლანრები გმობონ და სიმამაცისკენ რომ იქაჩებოდნ?

— რა გვინდა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა გვინდა! რუსების დამარცხება გვინდა, ეს კი ომის გარეშე შეუძლებელია! — აცხადებენ ნაცები.

კი, მაგრამ, როგორც აპირებთ ამ ოხერი რუსების დამარცხებას? — თქვენი „გონივრული“ და „ბრძნული“ მმართველობის წყალობით, წყალი მათია, გაზი მათია, დენი მათია, პური მათია, ფული მათია, რუსეთის ჯარები დგანან თბილისიდან ორმოც კილომეტრში, რუსეთის ჯარები დგანან ენგურთან, რუსეთის ჯარებით ვართ შემორკალულ-გარემორტყმული, ანუ ალფაში ვართ, ბიჭო, ალფაში, რუსეთის აგენტურითაა თქვენი პარტია გაძევილი, რუსეთის მოქალაქე გვავთ პარტიის თავმჯდომარე ვარაუდობს.

მოღალატეთა პარტია — „ნაცმოძრაობა“ საქართველოს მარიუხოლის ბედს უეზადებს

ტიის თავმჯდომარედ და როგორ უნდა მოუგოთ რუსეთს, ანუ საკუთარ თავს, ომი, თქვე აფერისტებო?

არა, არც რუსეთთან ომის მოგებაზე ფიქრობთ თქვენ, არც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე, არც უკრაინელი ხალხის ბედი გადარდებთ, თქვენ ერთადერთი მიზანი, ერთადერთი ოცნება გამოძრაობთ — როგორმე ხელისუფლებაში დაბრუნდეთ, როგორმე ძალაუფლება ჩაიგდოთ ხელთ!

რასაც არჩევებით ვერა და ვერ მაიღწიეთ, ახლა ცდილობთ, ქვეყანაში ომის პროვოცირებით მაიღწიოთ და ხან ზელენსკის, ხან არისტოვიჩის, ხან არახნამიას, ხან თქვენს მიერ უზავდ დაქრთმული ლობისტების პირით დასავლეთის გარკვეული ძალები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან, რომ საქართველოში რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტი გაიხსნას, დაარწმუნოთ, რომ ომის დაწყებითი „ქართული ოცნება“ არ არის, თქვენ კი, ოღონდ ძალაუფლებასთან მიგიშვან და მეორე დღესვე ისეთ რაღაცებს მოიძოქმედებთ, ისეთ პროვოკაციებს მოაწყოთ, რუსეთს იძულებულს გახდით, ისეთი ცეცხლი გაეკვისსნას, ქვა ქვაზე არ დატოვოს.

მერე რა, საქართველოს და ქართველი ხალხის ბედი თქვენ ყოველთვის ფეხებზე გეკიდათ და ახლაც ფეხებზე გკიდათ — მთავარია, ძალაუფლება დაიბრუნოთ და საქართველო თუნდაც წყალს და მეწყერს წაუღია.

არისტოვიჩი, რომელიც, ვერ გაიგებ, არისტოვიჩია თუ პუტინოვიჩი, დაბეჯითებით აცხადებს, რომ სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა“ ის ძალაა, რომელიც, „ქართული ოცნებისგან“ განსხვავებით, ომს ნამდვილად დაიწყებს. აბსოლუტურ სიმართლეს ამბობს ბატონი არისტოვიჩი — ომის პროვოცირებასა თუ დაწყებაში ნაცები მართლაც მაგრები არიან, მერე მოკურცხლავენ ხოლმე ბრძოლის ველიდან, ან მიწაზე ფორთხვას იწყებენ, თორემ ომის დაწყება კარგად გამოხდით.

მოცემულ სიტუაციაში სწორედ ესაა პროგრამა მინიმუმი — როგორმე გაიხსნას მეორე ფრონტი და მერე თავისით წავა ხოცვა-ჟლეტა, ნგრევა და პარტახი. — სამაგიეროდ, დახმარებას გაგიზრდით, ყველანაირად გვერდით ამოვიდგებით, დაქრებული წესით ნატოში შევიყვანთ, — გვიპირდებიან ვილაც-ვილაცები.

ვგრე პირდებოდნენ ზელენსკისაც, მაგრამ მერე სამი თითის კომბინაცია უჩვენეს და ნა...ზე გაუშვეს.

— ახლა ხელისუფლებაში სააკაშვილი რომ ყოფილიყო, ომი დიდი ხნის დაწყებული იქნებოდა და აქ იქნებოდა მეორე მარიუხოლი, — ბრძანა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ეს თქვენ გენადგვლებათ, ბატონო ირაკლი, ეს თქვენი ბედგრიული სამშობლო, თორემ სააკაშვილისა და მისი ბანდისთვის სულ ერთია, მარიუხოლი იქნება, ბუნა თუ გობის უდაბნო, მთავარია, სახელიწუფლო სავარძლების დასაგემელი ადგილი იყოს და ახალ ქართულ „ბუტირკას“ თვითონ ააშენებენ.

საქართველოში მეორე ფრონტის გახსნას ერთადერთი „აზრი“ აქვს — შეიძლება ხელისუფლებაში კვლავ ნაცები მოვიდნენ, რადგან ამ ფრონტის გამხსნელი სხვა არავინ არის საქართველოში და ნაცების გარდა არ არსებობს



ბი კი პირდაპირი ეთერით ტელევიზიებით გადაიცემა.

ეს იმ დროს ხდება, როცა საქართველოში, ფაქტობრივად, საგანგებო მდგომარეობაა და ნებისმიერმა ასეთმა მოწოდებამ შეიძლება იმ ნაპერწკლის როლი შეასრულოს, საიდანაც კოცონი ავიზვიდება ხოლმე.

ძალიან ნუ გავაფხვივლეთ ეს ავანტურისტები და პროვოკატორები, რომლებიც საქართველოს ომში ჩათრევას ცდილობენ და ყველა მათი ქმედება აქეთკენ არის მიმართული.

ვეკითხები იურისტებს: ქვეყნის ომში ჩათრევის მცდელობა, ქვეყნის უსაფრთხოებისთვის საშიშროების შექმნა, რომელსაც შეიძლება ადამიანთა მსხვერპლი და სახელმწიფოს განადგურება მოჰყვეს, ნუთუ დანაშაულის არანაირ ნიშნებს არ შეიცავს და თუ შეიცავს, რატომ არ ვთხოვთ ამის ჩამდენ ადამიანებს პასუხს, როგორც დამნაშავეებს?

დაბოლოს, ნაციონალუბო, თქვე ავანაკებო, ძალიან კარგად ვიცით, როგორ არწმუნებთ ვილაც-ვილაცებს, რომ თქვენ ხართ ის ერთადერთი ძალა, რომელიც უყოფმანოდ და დაუნანებლად შეაჯახებს საქართველოს რუსულ მონსტრს, რასაც აუცილებლად მოჰყვება ქართული სახელმწიფოს დალევა, თქვენ კი საქართველოს ნანგრევებზე და ქართველების ცხედრებზე იცეკვებით, როგორც ეს ერთხელ უკვე გააკეთეთ 2008 წელს.

ამიტომ უნდა გავხსნათ აქ მეორე ფრონტი, რომ თქვენი ავადმყოფური ამბიციები, ძალაუფლებისადმი თქვენი პარანოიკულ-მანიაკალური სწრაფვა და ჟინი დაიკმაყოფილოთ, თუნდაც ამას საქართველო და ქართველი ხალხი შეეწიროს?

კი, მაგრამ, ქართველ ხალხს არ ეკითხებით, სურს თუ არა მას ვივინდარების, მკვლელების, ავანაკებს იმ პარტიის ხელისუფლებაში დაბრუნებას ემსხვერპლოს, რომელმაც ცხრა წლის განმავლობაში ამდენი ტანჯვა, ტვივილი, დამცირება და შეურაცხყოფა მიაცვეს?

ფრთხილად იყავით თქვენ, დამშვიდდით, დაოკდით და ძალიან ნუ ეთამაშებით ქართველი ხალხის ნერვებს, თორემ, შეიძლება, ისეთი რისხვის გრივალი დაგატყდეთ თავს, მეორე ფრონტი კი არა, საკუთარი გვარ-სახელიც დაგავიწყდეთ.

თქვენც და თქვენმა პატრონებმა და წამქმნებლებმა უნდა იცოდნენ, რომ: „საქართველო უარს ამბობს პრობლემების ომის გზით მოგვარებაზე, ახლაც და მომავალშიც! საქართველოში არანაირი მეორე თუ მესამე ფრონტი არ გაიხსნება, არც ახლა და არც მომავალში!“



სხვა პოლიტიკური ძალა, ვინც ამ გაუგონარ დალატს იკადრებს და ქვეყნის დაქცევას ხელს მოაწერს.

„დემოკრატმა“ ზელენსკიმ, რომელმაც ლამის არის მთელი უკრაინა დემოკრატიისთვის ბრძოლას შესწირილი, ხუთი ტელევიზია დახურა და თერთმეტე პოლიტიკური პარტია აკრძალა, ჩვენ კიდევ მკვლელების, მმარცვლების, ვაჩალების, მოღალატეების ერთი პარტია ვერ ავლაგემთ, პარტია, რომელიც ყოველდღე ახალ-ახალ პროვოკაციებს გვგმავს, ხოლო მისი პატიმარი ლიდერი სასამართლო სხდომებზე ისე იქცევა, თითქოს მიტინგზე იყოს და ხალხს ხელისუფლების დამხობისკენ მოუწოდებს, ეს მოწოდებები



ჰირო, მაღლი!

მანქურთები



ჩამოვა და დაგელაპარაკებათო. ივანიშვილმა უთხრა, ირაკლი ღარიბაშვილს დაეღაპარაკოსო. ისევ ატეხეს მე-5 კოლონის წარმომადგენლებმა ერთი ამბავი, პუტინის საყვარელი ბიზნესმენი, სანქცირებული ევტუშენკოვი საქართველოს ხელისუფლებასთან თანამშრომლობსო. ჩანაწერში მეტი არაფერი ჩანს, ადამიანს,

თა შორის, ვისაც ცოტაოდენი ფული აქვს, ესენი ყველას ოლიგარქს ეძახიან, უწიგნურობა არ აძლევთ საშუალებას, ოლიგარქი ჩვეულებრივი ფულიანისგან განასხვავონ. თვითონ „ფულეებიც“ აქვთ, თანაც მოპარული, კაი თანამდებობებიც უკავიათ, მაგრამ არ არიან ოლიგარქები, თვითონ მხოლოდ პატრიოტები არიან და სხვის გასამართლებასაც კი ცდილობენ. რაღა დაგიმალოთ და... სწორედ ამიტომაც არის უკრაინა ამ უბედურებასა და გაუგებრობაში გახვეული.

აღრეც გითხარით, საოცრებათა სამყაროში ვცხოვრობთ – ყაჩაღ კეზერაშვილის უბორნიოდან, რატომღაც ტელევიზიას რომ უწოდებენ („ფორმულა“) ვლადიმერ ევტუშენკოვს დაურეკეს და დაკითხვა მოუწვეს, გეგონება უკრაინაში ომი პუტინის ბრძანებით კი არა, მისი მოწადინებით დაიწყო. გაიგონეთ? ფაქტობრივად, ყაჩაღი კეზერაშვილი დაკითხვას უწყობს სხვას, ბიძინა ივანიშვილს რატომ დაურეკეთ? აჰა, ხომ არის სასაცილო ეს ამბავი? დიახ, არის, მაგრამ ამავ დროს დიდად უცნაურიც გახლავთ, რადგან დღეს ბევრ-

ალი უზღენოვი რომ გამოავხანეთ თბილისში, ეგ როგორღა იყო? – „გამოიჭირეს“ ამათ, ამ პატრონის მსგავსმა თაღლითებმა. აქ პოლიტიკური არაფერია, ბიძინა ივანიშვილთან მხოლოდ მეგობრული ურთიერთობა მაქვს, როცა ბიზნესი ჰქონდა რუსეთში, მაშინაც კი მხოლოდ მეგობრები ვიყავითო:

„ჩვენ სუფთა ადამიანური კავშირები გვაქვს და ეს იცით, რას ჰგავს? სხვის თეთრეულში ჩაძრომას და ქექვას, როცა რაიმე საქმიანი თანამშრომლობის შესახებ გაიგებთ, დარეკეთ და იკითხეთ, პირად ურთიერთობებზე კითხვები არასწორია!“

დაეუშვათ, ივანიშვილის რომელიმე მეგობარს სანქციები დაუწესეს, იმას აღარ უნდა დაეღაპარაკოს? მეგობრობა, ნაცნობობა და ნათესაობა სანქციებზე დამოკიდებული? და მერე ვის აქვს პრეტენზიები, თავად ნახევრად რუსს? ამბობენ, რომ ამ არახამიას დედა რუსი ჰყავს. ისე, ყველამ თავის ბოზ მამიდას რომ მიხედოს – ვერა?!

ეს ტიპი თავხედურად აცხადებს, როცა ხელისუფლების წევრები უკრაინაში ჩამოვიდნენ, მე არ შევხვედრივარ, აზრი არ ჰქონდაო:

„შეხვედრას არ დავსწრებივარ, სპეციალურად არ წავედი, რადგან ასეთი განცხადებების შემდეგ საერთოდ ვერ ვხედავდი ამ ადამიანების ნახვის ვერანაირ აზრს.“

რა განცხადებების შემდეგ ვერ დანახა ამ ნაქართველარმა აზრი? საქართველო მეორე ფრონტს არ გახსნის და არც სანქციებს შეუერთდებაო, ხომ? ამ განცხადების შემდეგ საქართველოს მოსახლეობის 95-მა პროცენტმა შეებით ამოისუნთქა, ხოლო 5 პროცენტი დაიბოღმა. ვინმე არახამია, გაქსუებული ადვილი, ასევე გაქსუებული საყვარელიმე, უკრაინის კონტრდაზვერვის შეფის მოადგილედ გამწესებული ვინმე გიორგი ლორთქიფანიძემ, ვინმე ორესტო-ვიჩი და თუნდაც პროფესიონალი მასხარა – ზელენსკი რას იფიქრებენ, ჩვენ სულ ფეხებზე გვკიდა, ჩვენი ქვეყანა მეორე ფრონტად არ გადაიქცევა, მორჩა!

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე ოფიციალურად აცხადებს, რომ ომის დასრულების შემდეგ საზოგადოება კიდევ უფრო მეტს გაიგებს არახამიასთან დაკავშირებით:

„დღეს არ არის ამის დრო, უკრაინა არის ომის მდგომარეობაში, ამიტომ ვერ შევალთ ასე ღრმად, თუ ვინ არის არახამია, რა კავშირი აქვს მას „ნაცმოძრაობასთან“, ამაზე საზოგადოებამ უნდა მიიღოს სათანადო ინფორმაცია.“

და თქვენ გგონიათ, ომის დამთავრების შემდეგ მხოლოდ ვინმე არახამიას შესახებ გაიგებს ბევრ რამეს, ვინ არის და რას წარმოადგენს, რა აკავშირებს მიხეილ სააკაშვილთან? ასევე ბევრს გაიგებთ თვით ვოლოდიმირ ზელენსკის შესახებაც. ავი ენები ამბობენ, რომ ის არის



რომელიც ამ საუბრის პერიოდში (მარტში) არ იყო სანქცირებული და არც არასდროს ყოფილა პუტინის საყვარელი ბიზნესმენი (პირაქით, მას მილიონები „აახიეს“) აქვს რაღაც იდეა, თუ არ ცვდები, მარცვლეულთან დაკავშირებით. აი, ამაზე „ბლატაობს“ ვინმე არახამია, რომლის შესახებაც არაფერი ვიცოდით უკრაინაში ომის დაწყებამდე და რომც გვცოდნოდა, მისი ფასი ორი მაშინაც არ გახლავთ. იცით, დიდი უნამუსობა სად შეინიშნება? რუსეთში დაბადებულები, რუსეთში წამოზრდილები, რუსეთში დაფორთიანებულები, სხვადასხვა სასწავლებლებდამთავრებულები, რუსეთის მოქალაქეები, რუსეთში ბიზნესებისა და ბიზნესის მქონეები ბიძინა ივანიშვილს ედავებიან, ყოფილმა მეგობარმა, თუნდაც ახლანდელმა მეგობარმა რეიზა დაგირეკა, რუსეთში ბრძანდებითო? ჰოდა, ამიტომაც უნდა მივმართოთ ევროკავშირსა და აშშ-ს, სანქციები რომ დაგიწესონო. სხვა-



ნი ცდილობენ, ღირებულებები შეატრიალონ, ანუ უბორნიას ტელევიზია დაარქვან, ბოროტებას – სიკეთე, კეზერაშვილს – პატრიოტი, ივანიშვილს – მოღალატე, რუსეთუმეს – მედასავლეთე, მედასავლეთეს – პუტინის მონა. რომელი ერთი ჩამოვთვალო? ესენი საერთოდ, რეალობის გაუქმებას და ირეალობის შემოღებას ცდილობენ.

ევტუშენკოვმა კარგად უპასუხა კეზერაშვილის შეგირდებს, ივანიშვილს დაბადების დღე მივულოცე, რა პრობლემააო? უი,

ამ მანქურთმა ქართველმა, ორი ღერი ქართული რომ არ იცის და ქართველობისა საერთოდ არაფერი სცხია, ისევ დაიწყო ერთი ადგილის თამაში!

დიახ, ვინმე დავით არახამიანზე მოგახსენებთ, რომლის ოჯახმაც აფხაზეთის ომის პერიოდში ჯერ რუსეთს შეაფარა თავი, ახლა კიდევ უკრაინიდან გვებრიქება, თან რუსულ ენაზე საქმეებსაც გვირჩევს!

პირველი!

თურმე, ჩვენი საპარლამენტო უმრავლესობის წევრები სურათების გადასაღებად ჩასულან უკრაინაში!

მეორე!

ახლა ევროკავშირს და ამერიკის შეერთებულ შტატებს მიმართავს, ბიძინა ივანიშვილს სანქციები დაუწესეთო!

ცოლოა უკრაინა ამდენი კრეტინის ხელში, ძალიან ცოლოა!

ალბათ მალე დადგება დრო, როცა ეს ავანტიურისტები პასუხს აგებენ ყველაფერზე!

მანამდე კი – რა? არც არაფერი! უნდა ვუყუროთ, როგორ ილუპებინ ადამიანები და როგორ პარტახდება ამხელა ქვეყანა. გეგონება საქართველო დამანაშავე იმაში, რასაც რუსეთი აკეთებს... გეგონება საქართველოსთან ხელშეკრულება (გარიგება) ჰქონდათ დადებული, რომ მეორე ფრონტი უნდა გახსნილიყო... გეგონება უკრაინის ე.წ. ხელისუფლებისა ვალი გვაქვს და ახლა მეორე ფრონტის გახსნით უნდა გავისტუმროთ! ეს ჭყინტი არახამია, რომელიც უკრაინის რადაში მმართველი პარტიის ფრაქციას ხელმძღვანელობს და ამჟამად კობა ნაყოფიას ჯიბეზეა ჩამოკიდებული (ასე ამბობენ), უსინდისოდ აცხადებს, საქართველოს დღეს კრემლი მართავსო. მე რომ ამ ქვეყნის ხელისუფალი ვიყო, აუცილებლად გამოვიწვევდი ელჩს უკრაინიდან და შევჩერებდი დიპლომატიურ ურ-

თიერთობას.

ამონარიდი არახამიას განცხადებიდან: „საქართველოს მთავარი ოლიგარქი, ბიძინა ივანიშვილი, ძალიან მჭიდროდ უკავშირდება რუსეთის ფედერაციის პოლიტიკურ ელიტას. ახლანან გამოქვეყნებული „ივანიშვილის ჩანაწერები“ ამ კავშირზე ნათლად მეტყველებს. საქართველოს ხელისუფლების მთელი პოლიტიკა კრემლის მითითებების შესრულებაა და სწორედ აქედან გამომდინარეობს მთელი ეს რიტორიკა, რუსეთის აგრესორად არადიარება, რუსეთის ფედერაციის დახმარების მცდელობა სანქციების გვერდის ავლაში და ა.შ. მივმართავ ევროკავშირსა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობას, განიხილონ ივანიშვილსა და მის მთელ ბიზნესაქტივებზე სანქციების დაწესება.“

წარმოვიდგენიათ, როგორ ახტება საკუთარ თავს და როგორ კადრულობს ყველაფერს? ალბათ იცის, ბიძინა ივანიშვილს სანქციებს რომ არავინ დაუწესებს, ეს „რიჟა ბაზარია“, მაგრამ მაინც ცხვირს ყოფს იქ, სადაც არაფერი ესაქმება. კაცი წავიდა, პოლიტიკაში აღარ ერევა, რა გინდა, სად მისდევ, სად მიჰყვები? და მაინც, რატომ უნდა დაუწესონ ივანიშვილს სანქციები ბიზნესაქტივებზე, რა ფარულ ჩანაწერებზეა საუბარი? თებერვალში რუს ბიზნესმენს დაურეკავს მისთვის, ვლადიმერ ევტუშენკოვს, დაბადების დღე მიულოცავს. ჯერ მაშინ ატეხეს ერთი ამბავი, რუსმა ოლიგარქმა ივანიშვილს დაბადების დღე მიულოცა, არიქა, საქართველომ ორიენტაცია შეიცვალაო. ახლა კიდევ გამოადგეს ორი საცოდაობა, ე.წ. ფარული ჩანაწერი, სადაც ევტუშენკოვი ეუბნება, იდეა მაქვს, ამ დღეებში ჩემი კომპანიის წარმომადგენელი ალი უზდენოვი თბილისში



← 3 83.

დიდი ფულის პატრონი და ფარული ოლიგარქი, აქვს სერიოზული ბიზნესი რუსეთში, მეუღლის სახელზე აქვს დარეგისტრირებული ძვირადღირებული უძრავი ქონება ყირიმში – სასახლე. როცა ყირიმის მერს, აკსიონოვს ჰკითხეს, ზელენსკის ქონებას რატომ არ ჩამოართვითო, უპასუხა, ყველა სახის გადასახადს იხდის რუსეთის ბიუჯეტში, მიზეზი არ გვაქვსო. მეტიც, ეს უკვე ექსკლუზიური ინფორმაციაა: ავი ენები ასევე ამტკიცებენ, რომ ვოლოდიმირ ზელენსკის სასახლე გააჩნია ბათუმშიც.

მოდით, ვთქვათ სიმართლე, ზელენსკის ან ტვის უმდივრევენი, ან კიდევ ბავშვობიდანვე აქვს ამდღერეული, ერთი კი აშკარაა, ამ მსოფლიო დონის მასხარას ანტიქართული ვაქცინა აქვს შემსაპუნებელი. ახლა კი ვამბობთ, „ნაციონალების“ გავლენის ქვეშ იმყოფებაო, მაგრამ 2008 წლის ომის შემდეგ სცენაზე რომ დადობდა ქართველებზე, მაშინ რა ჰქონდა და ვისგან ჰქონდა შემსაპუნებელი?

საგანგებო პრესკონფერენციაზე ამას, ამ მასხარას აზერბაიჯანელმა ჟურნალისტმა ჰკითხა, ჩვენი ქვეყნის ღვაწლს როგორ აფასებთო? ძალიან მაღლივრი ვარ აზერბაიჯანისა, რომელიც ყოველთვის მხარში ედგა და ახლაც ეხმარება პუშინტარული ტვირითა თუ მედიკამენტებით უკრაინასო. და ისიც ძალიან კარგად მესმის, რომ იარაღით ვერ დაგვეხმარება, რადგან ყარაბაღის პრობლემა აქვს, ყოველ წუთს შეიძლება ომში გაეხვიოსო. წარმოგიდგინიათ? არა, მართლა წარმოგიდგინიათ, რა დონის ნაბიჯია? აზერბაიჯანისა ესმის, ყველა სხვა ქვეყნისა ესმის, მხოლოდ მოლდოვისა და საქართველოს არ ესმის. აზერბაიჯანს მაღლობას უხდის, საქართველოს არც ახსენებს. არადა... პუშინტარული დახმარების თვალსაზრისით ჩვენ მსოფლიოში პირველები ვართ!

საქართველოში დაბადებული კიდევ ერთი მანქურთი – ალექსეი არესტოვიჩი, რომელიც ზელენსკის კანცელარიის უფროსის მრჩეველია (ჯერ კანცელარიის უფროსი მითხარით და ახლა მისი მრჩეველი), ძალიან წუხს, მოლდოვისა და საქართველოს ხელმძღვანელობაში არ არიან ომის ადამიანები, სააკაშვილს კი შეეძლო ამის გაკეთებაო. ეს ტიპი (არესტოვიჩი) 1975 წელს დედოფლისწყაროში, სამხედრო დასახლებაში დაიბადა, სადაც სულ რუსები ცხოვრობდნენ და ბევრი ახლაც შემორჩა. ჩემი „ზემლაკი“ გამოდის, მეც დედოფლისწყაროში გახლავართ დაბადებული. რაღა დაგიმალოთ და... ესეც კი გვარაინად უნდა უქიქინებდეს, ხან ისეთს წამოაწვენს ხოლმე, გვერთება დედამიწაზე ახალი ჩამოსულიაო:

„განვიხილავდით სადმე მთელი ფრონტის გაჩენის შესაძლებლობას იმისთვის, რომ, პირდაპირ ვთქვათ, თავის ტკივილი შევუქმნათ მოსკოვს... რომ მას ნაწილობრივ უკრაინის თავი არ ჰქონდეს. გასაგებია უკრაინაში ომი, მაგრამ უცებ რომ გაგინდეს პრობლემები დენესტრისპირეთში, ოსეთში, ავღანეთ-ტაჯიკეთის საზღვარზე ან კიდევ სადმე? თუკი შესაძლებლობა მოგვეცემა,

ყველაქ ერთდროულად რატომაც არ უნდა დაკავებინათ“?

გაიგონეთ? არესტოვიჩი (ქართულად „პატრიმრევილი“) იძახის, რუსებს ყველაქ ერთად უნდა დაკავებინათ, ეს იმ რუსებზე იძახის, რომელთა ჯარშიც მამამისი მიკოლა ერთ-ერთ ხელმძღვანელ თანამდებობას იკავებდა და სწორედ ამიტომაც დაიბადა დედოფლისწყაროში. როგორც ჩანს, მამამისი სწორედ აქ იყო მოვლილებული. იცით, რუსეთს და რუსებს ყველაზე „მაგრად“ „ვინები“ ებრძვიან? ისინი, რომელთა დაბადებაში, აღზრდაში, გაზრდასა და დაკვლიანებაში სწორედ მათთვის დედა რუსეთს ძალზედ მნიშვნელოვანი წვლილი რომ მიუძღვის. ომი ცუდაა, პუტინი უხეიროა, რუსები ხიზიები არიან, მაგრამ ესენი? ესენი საიდან მოვიდნენ, რა უნდათ, ვის დაჰკარგვან? არესტოვიჩის ბიოგრაფიაში უწერია, პოლონურ-ბელორუსული წარმოშობისა გახლავართო... ერთი რა მაგის პასუხია და უკრაინის ხელისუფლებაში უკრაინელი ვინმე არის? მე ვერ აღმოვაჩინე, ზოგი ებრაელია, ზოგი – პოლონელი, ზოგი – გერმანელი, ზოგი – ნაქართველარი, ზოგი – სომეხი, ზოგი – აზერბაიჯანელი, ზოგი – ეთიოპიელი, ზოგი კიდევ ისეთი, ეროვნება საერთოდ რომ არ გააჩნია. ნუთუ არ შეიძლებაოდა, რომელიმე თანამდებობაზე ერთი ნორმალური აბორიგენი უკრაინელი მაინც დაენიშნათ, იქნებ ამოღონ ქვეყანა ამ დღეში არ ჩაყარდებოდა?!

მეტი რაღა ვთქვა? საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ამ დღეებში ყველას საკადრისად უპასუხა:

„ვე ვიცი, რომ იმედეები გავუწილევ ყველა ვითომ მეგობარს, რომლებსაც სურდათ ომი ჩემს ქვეყანაში, თქვენს ქვეყანაში, ჩვენი ხალხის მოკვლა, გაუბედურება და განადგურება ქვეყნის. მე ვბირდები მათ, რომ ყოველთვის გავუწილევ იმედებს.

არანაირი მეორე ფრონტი, არანაირი მეორე ომი საქართველოში არ იქნება“!

გასაგებია? ვინც იმედგაცრუებული დარჩა, ყველაქ ცივი წყალი ყლურწოს!

ამით ვაპირებდი ამ წერილის დასრულებას, არ გამომდის... დედოფლისწყაროში დაბადებულ არესტოვიჩის მორიგმა ნახმა შლეგანობამ წამოუბრძინა – ტელევიზორში გამოეთრა და საქართველოს ხელისუფლების წევრებს „ფურცკიტები“ უწოდა. თან დაემუქრა, არჩვენებში საკადრის პასუხს საკუთარი მოსახლეობა გაგცემთო. მეგონი დგება დრო, საქართველოს ხელისუფლებამ გააკეთოს ოფიციალური განცხადება ასეთი შინაარსით: თუ ეს კრემლის დანომრილი ბიჭ-ბუჭები არ მოეშვენიან მარაზმატიკულ გამოხტომებს, შევწვევთ ყოველგვარ ურთიერთობას!

თქვენ იარ ვიცი, მეგობრებო, ღმერთმა მოთმინება მოგცეთ, მაგრამ მე პირადად უკვე გამოცვდა თანაგრძობის შეგრძნება და ერთი შეგონებაც ამეკვიატა: „ყველაქ თავის ბოზ მამიდას მიხედოს“!

გელა ზაქვიაშვილი
555 48 48 61

რეპლიკა

ვის ებრძვის უკრაინის ხელისუფლება — სამართავლოს თუ რუსეთს?

მოვა დრო და შეიძლება გაიცეს ბრძანება: «Арестовать Арестовича!»

უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებებს თუ მოვუსმინებ, შეიძლება იმ დასაკენამდე მივიდეთ, რომ უკრაინის ხელისუფლება რუსეთის პარალელურად საქართველოსაც ებრძვის.

მართალია, ჯერჯერობით, ომი არ გამოუცხადებიათ, მაგრამ ასეთი ტემპებით თუ იარეს, შეიძლება არც მაგას მოერიდონ.

ჯერ იყო და უკრაინის ელჩი გაიწვიეს საქართველოდან, მერე კვირაში ერთხელ მაინც ხან ზელენსკი გვაყენებს შეურაცხყოფას, ხან არახამია, ხან არისტოვიჩი.

რუსეთთან ომი აქვთ უკრაინელებს და რუსეთიდან არ გამოუწვევიათ ელჩი, არც სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები გაუწყვეტიათ რუსეთთან, საქართველოდან კი ელჩის გაიწვიეს და სანქციებთან შეერთებას და მეორე ფრონტის გახსნასაც გვთხოვენ.

ბოლოს და ბოლოს, გაგვაგებინეთ, საქართველოსაც ეომებით თქვენ თუ რაშია საქმე?

თუ გვეომებით, ბარემ ისიც აგვიხსენით, რატომ?

იმიტომ ხომ არა, რომ საქართველომ ყველაზე მეტი პუშინტარული დახმარება გაუწია უკრაინას და ომს და უბედურებს გამოქცეულ უკრაინელებს აქაც ხელისგულზე ვატარებთ?

რაც შეეხება მეორე ფრონტის გახსნას, ჩვენ რომ აქ ფრონტი გვქონდა გახსნილი რუსეთთან, უკრაინელებისთვის არ გვიკადრებია, სასწრაფოდ დაიწყეთ ომი რუსეთთან, რომ ის ბომბები ჩვენ რომ გვეყრება თავზე, რუსებმა თქვენ დაგაყარონო.

რადაც უცნაური ხასიათი აქვს ამ რუსულ-უკრაინულ ომს – რუსები ბომბებს აყრიან თავზე უკრაინას, ამერიკელები და ევროპელები – მილიარდებს.

— კიდევ გვირდა, არ გვეფინის, თვეში ოთხ მილიარდამდე გვჭირდება, — წუწუნებს უკრაინის ხელისუფლება და აყრიან და აყრიან რუსები ბომბებს, რაც ავტომატურად ზრდის ამერიკელებისა და კოლექტიური დასავლეთის მიერ გადმოყრილი მილიარდების რაოდენობას.

სულ ცოდილო და, რადაც უცნაურ ბიზნესს ჰგავს ეს ყველაფერი, სადაც რუსული ბომბი და მილიარდები მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან — არ იქნება ბომბები? არ იქნება მილიარდები!



ამ სატანური „ბიზნესის“ შედეგად იხილეთ ათასები და ათიათასები, ინგრევა და ილტყება სოფლები და ქალაქები, არისტოვიჩი კი არხეინად ზის საფლაც ბუნკერში და ეს ამბები სულაც არ ანადვლებს. ერთადერთი, რაც საქმედ გაუხდია, ქართველების გინებაა.

არისტოვიჩი, რომ გაბრაზდნენ ეს ქართველები და რომ გითხრან: არისტოვიჩი ხარ თუ ვილაც ვ-ე, კიდევ ერთხელ თუ მოგვაყენებ შეურაცხყოფას შენ და შენი მმაკაცები უკრაინის ხელისუფლებიდან, საქართველო საერთოდ გაწყვეტს ყოველგვარ ურთიერთობას თქვენთან, უკრაინელ ხალხს ძველებურად დავესმარებით, რითაც შეგვეძლება, მაგრამ თქვენთან ვერ ვიმეგობრებთ, რადგან თქვენ მეგობრობის დაფასება და სიკეთის დანახვა არ შეგძლებიათო, მაშინ რა ხასიათზე დადგები, პატივცემული?

ექსპერტთა ერთი ნაწილის აზრით, ომის შემდეგ (შეიძლება მანამდეც) უკრაინელმა ხალხმა შეიძლება სულ სხვა კუთხით შეხედოს და სულ სხვა რაკურსით გააანალიზოს უკრაინა-რუსეთის ტრაგიკული ომის სიუჟეტური ქარგა და იქ არისტოვიჩთან დაკავშირებული ისეთი მოულოდნელი შტრიხები აღმოაჩინოს, რომ გაიცეს ბრძანება: «Немедленно арестовать Арестовича!»

ბედის ჩარხმა ისეთი უეცარი შემოტრიალება იცის უცაბედად, რომ, არ არის გამორიცხული, ასეთი ამბავი მართლაც მოხდეს...

დავით ქავთარია

ეს არ არის რუსეთ-უკრაინის ომი, ეს მასაჟი მსოფლიო ომია!

გვესაუბრება პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე:

— ბატონო რამაზ, საქართველოს ომში ჩართვის პროპაგანდა კვლავ გრძელდება.

— უცხოელების მხრიდან, საქართველოს საომარ მოქმედებებში ჩართვაზე მითითება არ გაკეთებულა. საერთაშორისო სტანდარტებიდან გამომდინარე, მსგავსი რამის თქმა, ძნელია. გინდ, ელჩი იყოს, გინდ, სხვა ქვეყნის მოქალაქე, არავინ ჰკითხავს: როგორ მოვიქცევი ჩემს ქვეყანაში და ომს დავიწყებ თუ არა. უკრაინელების გარდა, ამ თემაზე, სხვებს, ენა ვეღარ უტრიალდება. ამ მხრივ, საყურადღებოა ლარიბაშვილის პოზიცია, რომელმაც თქვა: არც ომს დავუშვებ და არც სანქციებს დავაწესებ. აქვე, ერთ რამეზეც უნდა დაფიქრდეთ: ჩვენ, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კუთხით, მხოლოდ, რუსეთთან არ გვაქვს საომარი, არამედ გამოძახების, ჩვენს მოქალაქეებთან — აფხაზებთან და ოსებთანაც უნდა ვიმოძიოთ, რაც დაუშვებელია! ეს ის შეცდომაა, რაც უკვე დაგვიმართა 90-იან და 2008 წლებში, როცა ჩვენივე მოქალაქეებს იარაღით დავუპირისპირდით. ამის დაშვება ნიშნავს, რომ ჩვენსა და მათ შორის კავშირი, ისევე, 30 წლით (თუ მეტით არა) უნდა გაწყდეს. ამ შემთხვევაში, აფხაზები და ოსები კიდევ უფრო მეტად მიეწებებიან რუსეთს. მათ აქვთ საფრთხე რუსეთიდან დაფინანსება შეუძვირდეთ, მაგრამ სულაც რომ შეუწყდეთ, თუკი დაინახეს — საქართველო შურისძიებას და იქ, იარაღით შესვლას აპირებს, რა თქმა უნდა, რუსეთზე ორიენტირებულნი დარჩებიან. ასე, რომ ჩვენს ინტერესში არ არის იარაღის ხელში აღება და აფხაზეთის, ოსეთის ასე დაბრუნება, რისკენაც უკრაინელები და ჩვენი შინაური მტრები გვიბიძგებენ.

— მოკლედ, ტრაგიკომიკური სიტუაციაა, ვამბობთ: ომი არ გვინდაო და მაინც, გვაძალბებენ. არადა, ომს რაღაც აზრი, მიზანი ხომ უნდა ჰქონდეს.

ამ ორმა ფაქტორმა ომის მსვლელობაში დიდი როლი ითამაშა. პატარა საქართველომ რა უნდა ქნას?! რუსეთის ბაზები აქვე, ჩვენს ტერიტორიაზე დგას. დაიხ, რუსული ბაზიდან სულ რაღაც ნახევარი საათია საჭირო, რათა საქართველოს სამხედრო გზა, დასავლეთ-აღმოსავლეთის მაგისტრალი გადაიკეტოს. ამ პირობებში რა რესურსი უნდა გექნოდეს?! თან, ნუ დაგვაიწყდება შემდეგიც: ბრძოლები ევროპის შუაგულში მიმდინარეობს. ყველა ევროპელს სწორედ ეს ხედება გულზე, რომ ომი ევროპის შუაგულშია. ამიტომ, მზად არიან უკრაინას დაეხმარონ როგორც მატერიალურად, ისე სამხედრო ტექნიკით. თუმცა, ცოცხალი ძალით არ ეხმარებიან. საქართველო კი ევროპის შუაგულში

არ გახლავთ. ნაწილობრივ, ამიტომაც იყო, რომ არც 90-იან და არც 2008 წლებში, რუსეთის ამკარად აგრესიული მოქმედებების მიუხედავად, ჩვენი დახმარება აზრად არავის მოსვლია, მხოლოდ, წყალი გამოაგზავნეს და პამპერები. ეტყობა ჩათვალეს, რომ ძალიან შეშინებულები ვიყავით. ამიტომ, არამარტო ადამიანური რესურსისა და გეოგრაფიული მდებარეობის გამო, არამედ გეო-პოლიტიკური მიმხიდველობაც, დასავლეთის ქვეყნებისთვის, საქართველოს მაინც ნაკლები აქვს, ვიდრე უკრაინას. პრაქტიკულად, გამორიცხვლია, საქართველომ იგივე მხარდაჭერა მიიღოს, რაც უკრაინას აქვს.

ბოლო ხანებში, დასავლეთმა, განსაკუთრებით კი, ამერიკამ თავის მიზნებს კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი. კერძოდ, მისთვის მხოლოდ უკრაინის გამარჯვება კი არ არის მთავარი, არამედ პუტინის რუსეთის მარცხი. ამერიკამ ღიად განაცხადა, რომ უკრაინის მომხრეა და მას ხელი უნდა შეუწყოს. ანუ, იგი, ნეიტრალურ პოზიციას აღარ იკავებს, არამედ მკაფიოდ აცხადებს, რომ უკრაინის მომხრე და რუსეთის მოწინააღმდეგეა. გამოდის, ამ კონფლიქტში ამერიკა ღიად აღნიშნავს, რომ მხარეა. თან ისე, რომ თავად, იარაღი ხელში არ აუღია, მისი ჯარისკაცები არ იბრძვიან. დგება საკითხი: საით მიჰყავს ამერიკას ეს კონფლიქტი? სხვათა შორის, ზელენსკიმაც აღნიშნა, რომ ამერიკა ომის დასრულებას არ ჩქარობს. მაშინ, საით მიდის პროცესი? — ამერიკას დრო გაჰყავს, რათა რუსეთის წინააღმდეგ სანქციები ამუშავდეს, რომელიც მას ისეთ ეკონომიკურ სირთულეებს შეუქმნის, რაც აქამდე, არასდროს ჰქონია. ამერიკა ხაზგასმით ამბობს, რომ ამ სანქციების ფონზე, ეცდება რუსეთი დაშალოს. ეს ისეთი ფრაზაა, რასაც ადრე, მეტაფორასავით ვხმარობდით, ახლა, კონკრეტული ხასიათი შეიძინა. დასავლეთს სურს, რუსეთი იმ დონემდე მიიყვანოს, რომ მან, მომავალში, სხვა ქვეყნების მხარეთ, აგრესიული მოქმედებ-



ბა ვეღარ შეძლოს. ანუ, მათი აზრით, რაც უფრო ერთიანია რუსეთი, მით უფრო საზიფათო ხდება სხვა ქვეყნებისთვის და ამიტომ უნდა დაეშალოს. სწორედ, აქეთკენ მიჰყავს ამერიკას პროცესი. სხვათა შორის, აღნიშნის ღირსია ჩინეთის მიერ გამოქვეყნებული რუკა, თუ როგორ განაწილდება ან დაიშლება რუსეთი სამომავლოდ. არადა, ეს გააკეთა ჩინეთმა, რომელიც რუსეთის პარტნიორი გვეგონია. მის მიერ გამოქვეყნებულ რუკაში რუსეთი აღარ არსებობს. ყველა მისი რეგიონი ამა თუ იმ ახლომდებარე ქვეყანას აქვს წაღებული. ჩინეთი ამბობს: რუსეთი უკრაინასთან რომ დამარცხდება, რა თქმა უნდა, უკრაინა რუსეთის ტერიტორიაზე ვერ გადავა, მაგრამ თვითონ რუსეთში, სამხედრო მარცხის გამო, კრიზისი დაიწყება, რასაც ეკონომიკური სანქციები დაემატება და ომის დასრულებიდან ორ-სამ წელში რუსეთი დაიშლება. ხვათა შორის, ამ რუკაზე ჩინეთმა საქართველოს საკმაოდ დიდი ნაჭერი მოუჭრა — კრასნოდარის ოლქი, მთლიანად, ჩვენი ქვეყნისკენ გადმოიშვა. ასე, რომ ეს ვერსია საკმაოდ სერიოზულ სახეს იღებს. იქეთ, ამერიკა ლაპარაკობს რუსეთის დაშლაზე, აქეთ, ჩინეთი. მკაფიოა თუ რატომ უჭირავს ჩინეთს თვალი რუსეთის დაშლისკენ — ტერიტორიების დიდი ნაწილი თავად

ჩრება. ეს სახე აქვს დღეს, რეალურად, ამ კონფლიქტს. ჩვენ, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტს ვეძახით, სინამდვილეში, ეს გახლავთ ომი დანარჩენ მსოფლიოსა და რუსეთს შორის.

— ვთქვამთ, რუსეთის იმპერია მართლაც დაინგრა. ამით, საქართველოს ეშველება?

— საქართველოს ეშველება იმ კუთხით, რათაც რუსეთი მას ზღუდავს — ეს გახლავთ ოკუპირებული ტერიტორიები. ჩვენ ვამბობთ, რომ ნატოში შესვლა გვინდა თავდაცვის, ევროპული სტანდარტების, დემოკრატიული პროცესების გაძლიერების გამო. მაგრამ თუ რუსეთი დაიშალა, მაშინ ნატოსკენ თავქუდმოგლეჯილ სირბილს ბევრი ქვეყანა თავს დაანებებს. ანუ, ნატოსკენ სწრაფვა ბევრ ქვეყანაში შემცირდება. იმიტომ, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ნატოსკენ სწრაფვა რუსეთის ფაქტორით იყო განპირობებული. თუ იგი აღარ იარსებებს, ნატოში რაღა ენდომება?! რაღაც თვალსაზრისით, ახლა, ადრინდელთან შედარებით, აფხაზებთან და ოსებთან უკეთესი ურთიერთობები მყარდება. რამდენიმე შემთხვევა ვიცი, აქ, სამკურნალოდ ჩამოსულ აფხაზებს არაფერი გადაახდებიან. მოკლედ, ადრე თუ გესაყვიდურობდნენ: ქედმაღლურად გვიყურებთო, ახლა, ასე აღარ არის და შეიძლება დამოკიდებულებები გამოსწორდეს.

2008 წელს ყველაფერი სამ დღეში დასრულდა. ეს ქართველების მარცხი არ იყო. ის სამი დღე მათ ისე იბრძოლეს, რომ რუსებს თავი დაამახსოვრეს. რაც მოხდა, ეს იყო ქართული სახელმწიფოს ხელმძღვანელობის ბრალი. მიშა რომ იძახდა: რუსული ტანკები დაჟანგულია, ჩვენ შევეუტყვით და გაგანადგურებთო, ამის თქმა სჭირდებოდა სწორედ იმიტომ, რომ ცხინვალზე შეტევა მოეხდინა და მერე, სასწრაფოდ წამოსულიყო. ვის აწყობდა ეს? — რუსეთს, ამერიკას, მიშას თუ სხვას, ისტორიკოსებმა გაანალიზონ.

— ხშირად ისმის ფრაზები: ამ ომში უკრაინა გამარჯვდება! რაზე მიუთითებს ყოველივე?

— უკრაინა გამარჯვდება — ამ ფრაზაში არ იგულისხმება, რომ იგი ბრძოლით მოსკოვში ჩავა. აქ, ალბათ, საუბარია იმაზე, რომ მან მოახერხოს რუსების ჯარებისგან ტერიტორიის გათავისუფლება. ეს თუ მოახერხა, რუსული ჯარები ისევე რუსეთის ტერიტორიაზე აღმოჩნდება. მერე, რუსეთს შანსი ექნება ხელახლა მოეშალოს და უკრაინის საზღვრიდან ახალი შეტევა დაიწყო. ეს რომ არ მოხდეს, მიიჩნევენ, რომ ამისთვის რუსეთის დაშლაა საჭირო, რასაც როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ეკონომიკური სანქციებით აპირებენ. დღეს, უკვე, რუსეთს არ შეუძლია თვითმფრინავების გამოყენება იმიტომ, რომ უცხოეთში გადასვლის შემთხვევაში, დააკავებენ. მას მოსთხოვენ თვითმფრინავების დაბრუნება, რაც არ გააკეთა. ნაწილებიც აღარ აქვს. ანალოგიური პრობლემა რკინიგზასთან მიმართებითაც. თუ თვითმფრინავები არ იფრენენ, მატარებლები არ ივლიან, მაშინ ამხელა ტერიტორიაზე როგორ უნდა მართოს რუსეთმა რეგიონები. თავი დავანებოთ იმას, რომ მართვისთვის, ასევე, ეკონომიკა და სამხედრო ძალა საჭირო. როგორ შეინარჩუნებს ამ ყველაფერს თუ ფული აღარ ექნება. მისი შემოსავლები გაზზე და ნავთობზე მცირდება. სათუთა, რუსეთს ეს ორი მუქანიზმი იმ სახით შერჩეს, როგორც დღეს აქვს. ამის გარეშე კი, რეგიონების მართვა გაუჭირდება. ზოგი რეგიონი სანქციების ქვეშაა. აქედან გამომდინარე, მათთვის რუსეთის მიტოვება მომგებიანი იქნება. ამ ფონზე საკმაოდ მაღალია ალბათობა: მას მერე რაც იგი უკრაინასთან დამარცხდება, საკუთარ მთლიანობასაც ვეღარ შეინარჩუნებს, ეკონომიკური სანქციებიც მოეწევა და ეს მარცხი რუსეთის მოსახლეობისთვისც მიუღებელი აღმოჩნდება. ასე, რომ პუტინის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება მომწიფდება. ახლა იძახიან: პუტინს გაუმარჯოსო, მაგრამ ეს განწყობა, მარცხის შემდეგ, ნელ-ნელა შემცირდება.

თაბარ შველიძე
555 23 28 24



მსოფლიო პოლიტიკაში შეურაცხადი აღამიანები მოვიდნენ, რასაც შეიძლება კაცობრიობა შეენიროს

გვესაუბრება პოეტი *ირაკლი საღლიანი*:

— ბატონო ერეკლე, ორ თვეზე მეტია რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. რა საფრთხეს ხელდავთ საქართველოსთან მიმართებით?

— საფრთხე არამხოლოდ საქართველოს, არამედ მთლიანად კაცობრიობას ემუქრება. გავიხსენოთ, რა უბედურება დატრიალდა ჩერნობილში 1986-87 წლებში — რუსებმა ამ ატომური სადგურის სრული ოკუპაცია მოახდინეს, მას დენი აღარ მიეწოდებოდა და შედეგად, დიდი სამიწროება შეიქმნა. ახლა, რუსების ხელშია მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი — ზაპოროჟიეს ატომური ელექტრო-სადგური. საფრთხე ძალიან დიდია. დღეს რაც ხდება, ეს კაცობრიობის უგნურების შედეგია. ჩვენ, ყველანი, სამწუხაროდ, ამ დანაშაულის მონაწილე ვართ და შესაბამის ნაყოფსაც ვიძეით. მარტივად რომ ვთქვათ: იცით, ახლა, რა ხდება? — ადამიანის აზროვნებამ მსოფლიო გადაიწვინა პრინციპს თავი ვერ დააღწია. მსოფლიოს ხელახალი გადართქმნა მიმდინარეობს, რაც დარწმუნებული ვარ, კრახით დამთავრდება. მივევთ მოვლენებს და ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკოსი — უინსტონ ჩერჩილი გავიხსენოთ. ეს ლეგენდა ადამიანი დღევანდელ პოლიტიკოსებს როდი ჰგავდა. მან უდიდესი როლი ითამაშა მსოფლიოს ფაშინების დახსნაში. მერე, რა მოხდა? — 1945 წლის არჩევნებში, როცა ყველა მის ტრიუმფალურ გამარჯვებას ელოდებოდა, მან არჩევნები წააგო. რატომ? — იგი იმდროინდელმა ინგლისის საზოგადოებამ სამაგალითოდ დასაჯა — რატომ ვერ ააცილეთ ომი შენს ქვეყანას, როცა ეს შეეძლო. უბედურებას სწორედ ისაა, რომ დღევანდელი საზოგადოება პოლიტიკურად მომწიფებული არ არის, რათა მსგავსი გადაწყვეტილებები მიიღოს. დღეს, ფაქტობრივად, ადამიანები იმ ვაგონებს ვეგვართ, რომლებიც ელმაგვალზე ან ორთქმაგვალზე მიმბმული და უსასრულო მიმართულებით დაგვახრიბენ, არაფერი იცვლება. ანუ, ისმის კითხვა: როგორ უნდა აეცილებინა ინგლისს იმ პერიოდში ომი? — მაშინ ინგლისმა, საფრანგეთმა პიტლერის მოძლიერებას ხელი შეუწვეს. შედეგად, პიტლერი გაძლიერდა და მისი შეჩერება ვეღარ შეძლეს. ანალოგიური რამ მოხდა რუსეთთან მიმართებითაც. დასავლეთმა ჩათვალა, რომ რუსეთი ბუფერული ზონაა, რომელიც ევროპას ისეთი ზემოქმედებით სახელმწიფოსგან იცავს, როგორც ჩინეთი. მაგრამ რუსეთი მოძლიერდა და აღმოჩნდა, რომ ჩინეთზე უფრო დიდ საფრთხეს წარმოადგენს. უბედურება



ისაა, რომ ეს მსხვერპლი ჯერ მოლდავეთმა გაიღო, შემდეგ ჩვენ და ახლა, მის ხანაში, პირდაპირ, უკრაინა აღმოჩნდა.

— ხშირად გაიგონებთ: ჩვენი ბედი უკრაინაში წყდება. რეალობა როგორია?

— გავიხსენოთ, ივანე თარბა, აფხაზი პოეტი, უბატიოსნესი, უნიჭიერესი კაცი. სხვათა შორის, მას შემდეგ რაც ქართველები სოხუმიდან გამოაძევეს, იგი ქუჩაში ჩირაღდნით გამოვიდა. ჰკითხეს: რას აკეთებო? მან უპასუხა: ქართველებს და აფხაზებს ვეძებო. მასვე ეკუთვნის ისტორიული სიტყვა: თქვენ, სოხუმი სოხუმი არ დაგიკარგავთ, არამედ თბილისშიო. ეს სრული სიმართლეა. ამიტომ, რა თქმა უნდა, ჩვენი ბედი, პირველ რიგში, საქართველოში წყდება და არა სადმე სხვაგან. ჩემი აზრით, მოხდა შემდეგი რამ: არც მოლდავეთი, არც საქართველო საკმარისი არ აღმოჩნდა იმისთვის, რომ რუსეთი საგრძობლად დაესუსტებინა. უფრო მეტიც: 2008 წლის ომის შემდეგ პუტინის ხელისუფლებამ გააცნობიერა, რომ რუსეთი ის არ იყო, რაც მათ წარმოდგენაში არსებობდა. ამიტომ, მნიშვნელოვანი სამხედრო რეფორმა ჩაატარეს და კიდევ უფრო გაძლიერდნენ. რუსეთთან დაპირისპირებულ ქვეყნებს სჭირდებოდათ დიდი სახელმწიფო, რომელიც ფართომასშტაბიანი ომისთვის დასაბამი იქნებოდა. აი, ასეთი გამოდგა უკრაინა. ამ ომს, რუსეთი, ალბათ, წააგებს, მაგრამ რა რჩება მერე, უკრაინას?! ახლა, ომის დაწყებას ჩვენს ქვეყანასაც უკიფინებენ. ამ უბედურებაში ჩათრევის მოსურნენი ერთ რამეს ვერ ხვდებიან: საქართველო უკრაინა არ არის. საქართველოს არ გააჩნია ისეთი გაშლილი ტერიტორია, როგორც უკრაინას. ასევე, ჩვენს ქვეყანას არ აქვს ევროპასთან ისეთი ტერიტორიული სიახლოვე, როგორც უკრაინას. რუსეთს შეუძლია საქართველოს საზღვაო ნავსადგურებში შემოსული ტვირთი გააჩეროს. უკრაინა იარაღს და სხვა სახის დახმარებებს იღებს როგორც პოლონეთიდან, ისე ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან. საქმე ისაა, რომ რუსეთის მიერ უკრაინაზე თავდასხმით ევროპამ დაინახა საფრთხე, რომელიც მას პირადად ემუქრება.



ასეთი საფრთხე საქართველოზე რუსეთის თავდასხმის დროს, არ უგრძნობიათ. იმიტომ, რომ საქართველო მათგან მოშორებით მდებარეობს. ჩვენი ჭირი, იმდროინდელი მსოფლიოსთვის, ღობის ჩხირი აღმოჩნდა. ყველაფერი მენანება — დღევანდელი კაცობრიობა, რომელმაც თავი ასე გასწირა, ასევე, ჩემი ქვეყანა, მოლდავეთი, უკრაინა და წარმოდგენით თვით რუსეთიც იმიტომ, რომ მან ბორიტების ისეთი გზა აირჩია, რომელსაც დაღუპვისკენ მიჰყავს. ვფიქრობ, პიტლერის ნიჭიერებას უშიშროების თანამშრომელი პუტინი ვერ გაუტოლდება, მაგრამ ერთი მხრივ, ერთმანეთს ჰკვანან — პიტლერმა გერმანია დალუპა, პუტინი რუსეთს ღუპავს.

— ვახსენებთ, რომ საქართველოში გარკვეული ძალები მერე ფრონტის გახსნას ცდილობენ. საქართველო კიდევ ერთ ომს გაუძლებს?

— მეტსაც გეტყვით: მათ მშენებრად იცინა, რომ საქართველო კიდევ ერთ ომს ვეღარ გაუძლებს. მათი გათვლა შემდეგზეა აგებული: თუ ტვინი გადავიტყუებ და ამ ომში ჩავერთვეთ, ბუნებრივია, წავაგებთ და მერე, თვითონ ამ გზით ხელისუფლებაში მოვივლენ. დიახ, ისინი იტყვიან: ხე-

ლისუფლებამ ხალხის იმედები ვერ გაამართლო და რევოლუციის გზით კვლავ მმართველობაში დაბრუნდებიან. იმიტომ, რომ არჩევნების გზით, ისინი, უკან ველარასდროს მოვლენ, ეს თავადაც კარგად იცინა, ამიტომ ნებისმიერ პროვოკაციაზე მიდინ. ჩვენ საკმაოდ დიდი მსხვერპლი გავიდეთ — 30 ათასი ქართველი აფხაზეთის მიწაში ჩაწვა, ხოლო 300 ათასი — ფუძე-საცხოვრისიდან აიყარა და დღევანდელ მსოფლიოში გაიფანტა.

ყველაზე კარგი რუსები, უკვე უკრაინელებად აქციეს. ჩვენ ვის ვეღარდებით? — არავის. ასევე, ომის განაღება სურთ ჩვენს შიდა მტრებს — ნაცებს. მათ ახლა ომის პარტია შეარქვეს. მე ვიტყვოდი, რომ ეს არის სექტა — დიაგნოზი, რომელიც განუკურნელია. აღსანიშნავი და მისასალმებელია, რომ იმ ხნის მანძილზე, რაც სუვერენიტეტი მოვიბოვეთ, ჩვენმა ხელისუფლებამ პირველად გადადგა დამოუკიდებელი ნაბიჯი.

— დასავლეთს რუსეთის იმპერიის დაშლა სურს, მაგრამ მერე, რა ხდება?

— რუსეთს ამისთვის არ სჭირდება არც ამერიკის და არც ევროპის დახმარება, პუტინი საკუთარ ქვეყანას თავად ანგრევს. ერთსაც დაკამატებ: ევროპის, ამერიკის გათვლა ყოველთვის იყო იმაზე, რომ რუსეთი თვითმკვლელობაზე არ წავიდოდა. არადა, რასაც ხვდებით, რუსეთი სწორედ ასე იქცევა. მაგრამ მეორე საკითხია, რას მოიტანს რუსეთის დანგრევა. დასავლეთი ამის გაკეთებას ძალიან ცუდად ცდილობს. იმპერიის განადგურება ევოლუციის გზით კი არ ხდება, არამედ გარედან ჩარევით. დასავლეთს რუსეთის დანგრევა თუ უნდოდა, რუსეთი, ფაქტობრივად, საბჭოთა კავშირის მერე, დანგრეული იყო, მათ კი მკვდარი გააცოცხლეს და ახლა, თავიდან უნდათ მოკლან?!

— როგორ ფიქრობთ, რუსეთს რაღაც კუთხით ჩვენც და უკრაინაზე ზომი არ ვაიმუქვთ ეს ომი დაეწყო — მუდმივად, ვიძახდით ნატოში შევიდით?

— კი ბატონო, გეტყვით. მოდით, ასე დავიწყოთ: რატომ შევიდით ნატოში? — იმიტომ, რომ რუსეთისგან საფრთხეს ვგრძნობთ. რუსეთი სხვაგვარად რომ მოქცეულიყო, ჩვენ, ეს გადაწყვეტილება შეიძლება არც მიგვედო. მაგრამ მან წავგვლია აფხაზეთი, სამაჩაბლო. დედამიწის ერთი მეშვიდედი ტერიტორიის მფლობელი ქვეყანა, კიდევ, ამ ერთი მუჭა საქართველოს მიწას დაეპატრონა.

— ნატოშიც რომ არავინ გვიღებს?

— გასაგებია, არავინ გვიღებს იმიტომ, რომ ჩვენ, ახლა, იმ წითელი მოსასხამის როლში ვართ, რომელსაც გავემუხულ ხარს დასავლეთი თვალწინ უფრიალებს. დღევანდელი მსოფლიო ფიქრობს, რომ მიზანი ამართლებს საშუალებას. ერთპოლუსიანი მსოფლიო დიდი უბედურებაა, მაგრამ არც ორპოლუსიანი მსოფლიოა სიკეთის მომტანი. გავადლო და ვერც აშშ, ვერც რუსეთი თავიანთი სამხედრო ბატალიებით ვერ იამაყებენ, მაგრამ იამაყებენ თავიანთი დიდი კულტურით. მჯერა, კაცობრიობა ამ შეგნებამდე მივა.

თამარ შველიძე

„ცივილიზებული საყარო“ ველური „ფილოსოფიით“ და საქართველო, რომელიც 30 წელია ილიას გზით კი არა „სიღამოროვიჩის“ გზით მიდის

მასტანზ სარჩილაშა

ძალიან მიკვირს, ამდენი ცოდვის, ამდენი უბედურების, ამდენი სისასტიკის ჩამდენ ადამის მოდგმას რომ აჩერებს ღმერთი დედამიწაზე? კაცობრიობის მიერ გამოვლილ გზას

ტრაგიკულ სპექტაკლში უამრავი აქტიური მონაწილეობს, რომელთაგან ზოგიერთი მთავარ როლს ასრულებს, ზოგიც მეორეხარისხოვანს, ზოგიც „მასოვკას“ ავსებს, ყველანი ერთად კი იმ საზა-

მართალია, პუტინმა შეძლო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ლოთბაზარა და ამერიკელების მარიონეტ ელცინის დახმარებით თითქმის ბოლომდე გაპარტახებული რუსეთის ფეხზე დაყენება, მაგრამ,

გამოჭრილი მეთოდებით, აბსოლუტურად იდენტური ტაქტიკური და სტრატეგიული მონახაზით აკეთებს, თითქოს ფანტაზია არ ყოფნისო.

ის, რის გაკეთებასაც პუტინი დღეს უკრაინაში ცდილობს, მან ზუსტად იგივე გააკეთა 2008 წლის აგვისტოში საქართველოში, აღიარა რა მისი ორი რეგიონი „დამოუკიდებელ სახელმწიფოებად“, რითაც საქართველოს დიდი ხნით მოუჭრა ნატოსკენ მიმავალი გზა.

რუსეთი მთავარ საფრთხედ სწორედ ნატოს მიიჩნევს და ცდილობს, თავისი სახელმწიფოს გარშემო შექმნას ერთგვარი ბუფერული ზონები რუსეთსა და ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსს შორის და ეს ბუფერული ზონები ტანკსაწინააღმდეგო ტრანშეპევიტი შემოავლოს გარშემო რუსულ სახელმწიფოს.

რამდენად ეფექტურია ის, რასაც პუტინი აკეთებს? წყვეტს თუ არა ამგვარი ტაქტიკა იმ პრობლემებს, რომელიც მან ამ პრობლემების აღსაკვეთად აირჩია?

საქართველოს მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, მიუხედავად იმისა, რომ პუტინმა აფხაზეთი და ე. წ. სამხრეთ ოსეთი „ჩამოაჭრა“ საქართველოს, საქართველოს სწრაფვა ნატოსკენ და ევროკავშირისკენ ამით კი არ შენელებულა, პირიქით, უფრო გამძაფრდა და უფრო მიზანსწრაფული გახდა, როგორც ერთადერთი საშუალება ოკუპანტისგან თავის დახსნისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა.

არ ვიცი, რამდენად დაეჯერება სააკაშვილს, მაგრამ მან ერთხელ ასეთი რამ თქვა: პრეზიდენტი რომ გაგხდი, პირველი ვიზიტი მოსკოვში, პუტინთან გაენახორციელო. მე მას ვუთხარი, რომ საქართველო მზად იყო ოფიციალურად განეცხადებინა უარი ნატოში გაწევრიანებაზე, თუ რუსეთი მას სეპარატისტული რეგიონების დაბრუნებასა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში დაეხმარებოდა, რაზეც პუტინისგან მკვანე უარი მივიღე.

საკაშვილამდე შევარდნაძემაც სცადა ურთიერთობების დალაგება რუსეთთან, მაგრამ ეს მცდელობებიც იმით დამთავრდა, რომ შევარდნაძეს „ვარდების რევოლუცია“ მოუწყვეს, რომლის ნამდვილი ავტორი დღემდე ვერ გაირკვა, ვინ არის — რუსეთი, დასავლეთი თუ ორივე ერთად.

როცა ზოგიერთი პოლიტიკური ძალა რუსეთთან პირისპირ დიალოგის აუცილებლობაზე ლაპარაკობს და ასეთი დიალოგი მიაჩნია საქართველოსთვის მომგებიან და სასარგებლო ერთადერთ ბერკეტად, ეს მთლად ზუსტი და სწორი არ არის, რადგან ასეთი დიალოგი რუსეთთან სხვადასხვა დონეზე არაერთხელ გაქონია, თუმცა ყველაფერი მთავრდება იქ, სადაც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე იწყება საუბარი.

რუსეთი თვლის, რომ ეს თემა მას არ ეხება, ეს ჩვენი შინაური საქმეა და აფხაზეთთან და ოსებთან ჩვენ თვითონ უნდა მოვაგვაროთ სადაო საკითხები.

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თემა რუსეთისთვის წითელი ზაზია, რომლის გადაკვეთას ის არ აპირებს და თუ გულახდილი ვიქნებით — ძალიანაც რომ უნდოდეს, არც შეუძლია.

აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის



რომ გაადვენო თვალი, შეიძლება იმ დასკვნამდე მიხვიდე, რომ ის არსებობის ღირსი არ არის.

ამდენი უბედურების ჩამდენებს ღმერთი დაგვსჯის, — ზმირად გაიგონებთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანები ღვთის სასჯელს მომავალში ელოდებიან.

კი, მაგრამ, რაღა მომავალში ელოდებით იმ სასჯელს, რაც დღეს, ამ წუთას ხდება ჩვენს თავს, განა ეს არ არის უმკაცრესი სასჯელი?

ნახეთ, რა ამბებია მსოფლიოში, შეხედეთ დანგრეულ ქალაქებს, ქუჩებში დაფრთხილ ცხედრებს, მილიონობით ლტოლვილს, ნახეთ მათი შიშით და სასოწარკვეთილებით სავსე თვალები, მოუსმინეთ პოლიტიკურ ლიდერებს, რომლებიც მშვიდობისკენ კი არა, ახალი სისხლისღვრისკენ აქეზებენ დაპირისპირებულ მხარეებს.

რაც დღეს ხდება უკრაინაში, განა იგივე არ ხდებოდა გუშინ თუ გუშინწინ სირიაში, ერაყში, ლიბიაში, ავღანეთში, სხვაგან და სხვაგან?!

თუ ეს ჩვენ არ გვეხება, რადგან შორია სირამდე, ერაყამდე, ავღანეთამდე, ლიბიამდე თუ უკრაინამდე და იქ ჩამოცვენილი ბომბები სხვებს გლეჯს ნაკუწ-ნაკუწ და სხვის ბავშვებს ზოცავს.

ვერა და ვერ მივედით იმ დასკვნამდე, რომ დედამიწა ერთი საერთო სახლია და ამ სახლში მცხოვრები ყველა ადამიანი ჩვენიანია, ჩვენი ძმაა, ჩვენი სისხლისმეერი ნათესავია, რომელსაც საერთო სახელი ჰქვია — ადამიანი.

* *

რაც უკრაინაში ხდება, საშინელებაა, მაგრამ ამ საშინელი ტრაგედიის ერთადერთ პერსონაჟად მხოლოდ პუტინის წარმოჩენა ფარისევლობაა, რადგან ამ



რელ „სანახაობს“ ქმნიან, რომელსაც ომი ჰქვია.

პუტინს რომ ეს ომი საერთოდ არ უნდა დაეწყო, ეს რომ მისი უდიდესი შეცდომაა (შეიძლება საბედისწეროც), არც ამაზე დაობს ვინმე, პუტინი რომ დამნაშავეა, ესეც ფაქტია, მაგრამ განა სრულიად უდანაშაულონი არიან ის ძალები, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ეს ომი დაწყებულიყო და ისე მირეკეს რუსული დათვი სპეციალურად მისთვის გათხრილ ორმომდე, როგორც გამოცდილი მარეკები მიერეკებიან ხოლმე ნადირს ხაფანგისკენ.

სანამ ამ ყოველად გაუმართლებელ ომს დაიწყებდა, ისევე, როგორც რუსეთში, ასევე მსოფლიოს პოლიტიკურ არენაზე პუტინის რეიტინგი საკმაოდ მაღალი იყო და თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ და ნიჭიერ პოლიტიკოსად მიიჩნევენ.

საკითხავია, რის საფასურად მოახერხა მან ამის გაკეთება და რამდენად მყარი და მონოლითურია ის სამირკველი, რაზეც მან ფერფლისგან აღმდგარი ახალი რუსული იმპერია დააშენა.

პუტინმა მთელი რესურსები ქვეყნის სამხედრო პოტენციალის გაძლიერებისკენ მიმართა და მართლაც შექმნა უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ზემოლავრი სამხედრო მანქანა, მანქანა-სახელმწიფო, რომელსაც დანარჩენ მსოფლიოსთან ურთიერთობა მხოლოდ ძალისმიერი მეთოდების ენაზე შეუძლია.

„სილა ესტ, უმა ნე ნადო“, — ეს რუსული ფრთიანი გამოთქმა ზედგამოჭრილია იმ პოლიტიკის დახასიათებლად, რომელსაც დღეს რუსეთი ეწევა შინ თუ გარეთ.

რაც ხელისუფლებაშია, მას შემდეგ პუტინი სულ ომშია და პრობლემების გადაწყვეტას ძალისმიერი გზებით ცდილობს, თანაც ამას ერთ შაბლონზე

დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნობას ის უკან ვერ გამოიხმობს, რადგან ეს მის პრესტიჟს მომაკვდინებელ დარტყმას მიაყენებს, არადა, ამ საკითხის მოგვარების გარეშე საქართველოსთან ახალი პარტნიორული და მეგობრული ურთიერთობის დამყარებაზე ფიქრიც კი ზედმეტია.

ის ჩიხურ სიტუაციაშია, ეს ჩიხი კი მან თვითონ შექმნა, როცა შეცდომა დაუშვა და ეს ორი სეპარატისტული რეგიონი სუვერენულ რესპუბლიკებად აღიარა.

დრო გაივლის და ეს შეცდომა რუსეთს აუცილებლად შემოუტრიალდება უკან ბუმერანგივით — მას იმდენი „აფხაზეთი“ და „სამხრეთ ოსეთი“ ჰყავს თავის ფედერაციაში, რომლებსაც შეიძლება მორა-

ქართველი ერი არ არის უმადური ერი, მას ახსოვს, რომ ფიზიკურ განადგურებას სწორედ რუსეთმა გაადაარჩინა, მაგრამ მას ახსოვს ის ტკივილები, ის შეურაცხყოფა და დამცირება, რაც გადამრჩენელმა მისგან გადარჩენილს მიაყენა.

ბოლო ტკივილი, ბოლო ორი დიაჭრილობა, რაც რუსეთმა საქართველოს მიაყენა, ეს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებაა, რაც, ჩემი აზრით, რუსეთის პოლიტიკური აზროვნების შეზღუდულობასა და პრობლემის პრიმიტიული, თვითდამაზიანებელი ხერხებით გადაჭრისკენ მიდრეკილებას მეტყველებს.

რუსეთს ბევრი ნახევრად გადაჭრილი პრობლემა დაუგროვდა, მას ხშირად

ეს პატივცემული პოლიტიკური ლიდერები, უგუნურობით და ავადმყოფური ამბიციებით შეპყრობილი, ვერავითარ პასუხისმგებლობას ვერ გრძნობენ მილიონობით დაღუპული ადამიანის გამო.

ერთი ადამიანის მოკვლა უდიდესი დანაშაულია და ნებისმიერ ქვეყანაში უმკაცრესად ისჯება, თუმცა მილიონობით ადამიანის დახოცვა, თუ ეს ომის დროს ხდება, დანაშაული არ არის.

აი, ამ ველური და ბარბაროსული „ფილოსოფიით“ ცხოვრობს დღეს სამყარო, მათ შორის სამყაროს ის ნაწილიც, რომელიც თავის თავს ცივილიზებულს ეძახის და სხვებს მორალს უკითხავს, მიუხედავად იმისა, რომ ცოტა ხნის წინათ

უკრაინაში არ ვიცი, მაგრამ ეს ბოლო უკრაინელი, რომელიც აუცილებლად გადარჩება, სააკაშვილი იქნება, რომელიც საიმედოდ არის დაცული ქართულ ციხეში.

ზელენსკის რომ ჰკითხო, დემოკრატიას იცავს თურმე და დემოკრატიის გადასარჩენად წირავს ამდენ ადამიანს, რომლებსაც შეიძლება დემოკრატიისთვის თავის შეწირვა სულაც არ ეპიტნავებათ და, უბრალოდ, სიცოცხლე უნდათ.

უკრაინა დღეს ყველაზე დახურული და ჩაკეტილი ქვეყანაა, სადაც არავინ იცის, სინამდვილეში რა ხდება.

ადრე თუ გვიან დამთავრდება ეს ომი და შეიძლება ისეთი შემზარავი საიდუმლოებები ამოვიდეს ზედაპირზე, რომ



ლური (გნებავთ, იურიდიული) მოტივაცია გაუჩნდეთ ერთ შვენიერ დღეს და თქვან: თუ აფხაზეთი და ცხინვალი იმსახურებს დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსს, ვთქვათ და, ინგუშეთი, ბალყარეთი, ჩეჩნეთი, დაღესტანი, ბაშკირეთი და ა.შ. და ა.შ. რატომ არაო...

რუსეთმა საკუთარი პოლიტიკური მომავლისთვის უკიდურესად ცუდი პრეცედენტი შექმნა აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ აღიარებით, როცა ეს ნახევრად აფეთქებული ორი ბომბი დატოვა საქართველოს ტერიტორიაზე, რომლებიც, საბოლოო ჯამში, არავითარ გარანტიას არ იძლევა იმ მიზნებისა და ამოცანების ერთხელ და სამუდამოდ გადასაჭრელად, რისთვისაც ეს გაკეთდა და რისთვისაც ამდენი მსხვერპლი იქნა გაღებული.

როგორც ჩანს, რუსეთს უჭირს გამოვიდეს იმ ველიკოდერჟავული ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან, რომლითაც იგი საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდა და მტკაველ-მტკაველ ამეწებდა თავის რუსულ იმპერიას.

მას უჭირს, თანასწორობის, ურთიერთპატივისცემის, პარტნიორობის პრინციპებზე ააგოს ურთიერთობები.

ამის ნათელი მაგალითია თუნდაც ის, თუ როგორ მოექცა იგი ერთმორწმუნე საქართველოს, რომელმაც, მომხედურთაგან ოტკებულმა და სისხლისგან დაცლილმა, ნებაყოფლობით ისურვა რუსული იმპერიის დროშის ქვეშ თავის შეფარება, რუსეთმა კი ამ მართლმადიდებლურ ქვეყანას ეკლესიების კედლებიდან ფრესკები ჩამოუფხიკა, შშობლიურ ენაზე წერა-კითხვა აუკრძალა და გარუსება მოუნდომა.

ასეთი ბარბაროსული მიდგომა რომ არა, არსებობდა შანსი, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის მართლაც უნიკალური ძმობისა და მეგობრობის ხიდეები გადებულყო, რომლებიც საუკუნეებს გაუძლებდა და დღევანდელ დღემდე მის ბურჯებს ვერაფერი შეარყევდა.

ბოლომდე არ მიჰყავს ან ვერ მიჰყავს პროცესები, არადა, შუა გზაზე შეწყვეტილი ეს პროცესები ავტომატურად ვერ გაჩერდება, ის თავის ლოგიკურ დასასრულს ითხოვს და სანამ ფინალის დრო არ დადგება, პროცესები ინერციით განაგრძობენ მოქმედებას და განვითარებას.

აი, ამ სიტუაციაში მყოფმა რუსეთმა ახალი, მასშტაბური პროცესი წამოიწყო უკრაინის წინააღმდეგ და არა მარტო უკრაინა, ლამის ნახევარი მსოფლიო დაიპირისპირა.

რით დამთავრდება ეს დაპირისპირება, ძალიან ძნელია ამის პროგნოზირება.

უკრაინის შემთხვევაშიც რუსეთი იგივე ტაქტიკით იმოქმედებს და შუა გზაზე გაჩერდება, როგორც ეს საქართველოში გააკეთა, თუ ბოლომდე გადათხრის და გადაბუკავს მთელ უკრაინას?

ეყოფა კი რუსეთს ამ მიზნის მისაღწევად რესურსები ან მისცემენ კი მას ამის გაკეთების საშუალებას ის ქვეყნები, რომლებიც, ჯერჯერობით, აქტიურად ეხმარებიან უკრაინელებს იარაღით, ფულით, სამხედრო ტექნიკით?

დიდი ალბათობით, რუსეთს მოუწევს ანგარიში გაუწიოს მსოფლიო საზოგადოების აზრს და სადაც რომელიმე უკრაინულ „იგოეთთან“ გაჩერდეს.

რა ხდება ამის შემდეგ? როგორ გაგრძელდება ეს შუა გზაზე გაწყვეტილი და ხელოვნურად შეჩერებული პროცესები?

სად მთავრდება და რით მთავრდება ეს გლობალური დაპირისპირებები სახელმწიფოებს შორის, რომლებმაც, მიუხედავად იმისა, რომ XXI საუკუნეა, ურთიერთობის სხვა ენა ვერ ისწავლა, გარდა ომებისა, რომლებიც, ადრე თუ გვიან, აუცილებლად იმსხვერპლებს კაცობრიობას.

კაცობრიობა უკვე გადართულია თვითგანადგურების რეჟიმზე, თუმცა პოლიტიკური ლიდერები, რომლებსაც მსოფლიოს ბედი აბარიათ, ამას ვერ აცნობიერებენ და ჰგონიათ, რომ ომს ისევ ომით დაამარცხებენ.

ზუსტად იგივეს აკეთებდა, რასაც დღეს პუტინი აკეთებს უკრაინაში.

თუ პატიოსნად და ობიექტურად განვიხილავთ მიმდინარე ტრაგიკულ მოვლენებს, ალბათ, იმ დასაკენამდე მივალთ, რომ მხოლოდ პუტინში არ არის პრობლემა, როგორც ამას ცივილიზებული სამყარო ამტკიცებს.

პრობლემა იმ „ფილოსოფიაშია“, რომელზეც ზემოთ ვლაპარაკობდით და რომელიც დასაშვებ ნორმად მიიჩნევს კაცთა კვლას, თუ ამ მასობრივ მკვლელობებს ომის სახელი ჰქვია.

მხოლოდ პუტინის ბომბები კლავენ, ხოლო ბაიდენის მიერ ფეშქაშად გამოგზავნილი ბომბები ვარდის ფურცლებად ეყრებათ ადამიანებს თავზე?

განა უცოდველები და უდანაშაულოები არიან ის პოლიტიკური ლიდერები, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ არა იმისთვის, რომ მეთმარ მხარეებს შორის რაც შეიძლება მალე ჩამოვარდეს ზავი და მშვიდობა, არამედ ცდილობენ, რაც შეიძლება დიდხანს გაიწელოს ეს სასტიკი ომი, რომელსაც დამატებით ათიათასების და ასიათასების სიცოცხლე შეეწირება.

ესენი, ეს ომის წამქეზებლები, სიკვდილის იარაღით ომის მომმარაგებლები, არ არიან მკვლელები და მკვლელები მხოლოდ ისინი არიან, რომლებიც მათი ბრძანებით ჩახმანს გამოკრავენ ზელს.

ვინ არის ბორის ჯონსონი, სიკვდილის ანგელოზივით რომ დაქრის აღმა-დაღმა და სახელმწიფოებს აგულიანებს, მხარი დაუჭირონ ომის გაგრძელებას, თანაც ამას რომ აკეთებს, რატომღაც ძალიან ბედნიერი და სიხარულისგან გაცისკროვებული სახე აქვს.

ვინ არის ზელენსკი, რომელიც იმის ნაცვლად, რომ მთელი მსოფლიოს პოლიტიკურ მამებს მოუწოდოს, მხარეებს შორის ჩადგნენ და უკრაინელი ხალხი გადაარჩინონ, იარაღს ითხოვს, რომ იბრძოდოს, სანამ ბოლო უკრაინელი იქნება უკრაინაში.

თავდაყირა დააყენოს ის ინფორმაციები, რომლებიც დღეს მსოფლიოში ვრცელდება.

თუმცა, თუ დროზე არ მოეგებიან გონს ისინი, რომლებსაც შეუძლიათ ეს ახალი აპოკალიფსური ნიშნების შემცველი ომი შეაჩერონ, სულაც არ არის გამორიცხული, არც ამ საიდუმლოს გამგები და ამომხსნელი დარჩეს ვინმე ამ სასაკლადო ქცეულ მსოფლიოში.

* *

მსოფლიოში მიმდინარე ტრაგიკულ მოვლენებზე ფიქრმა სხვაგან წამიყვანა და შუა გზაზე მიმჩნა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის თემა, უპირველესი და უმთავრესი თემა ჩვენთვის, ქართველებისთვის, რომელიც ქართული სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის ზღვარზე გადის.

ადამიანი, რომელიც თავის წარუმატებლობას და ხელმოცარულობას მხოლოდ სხვას აბრალებს და ამ წარუმატებლობაში საკუთარი შეცდომების კვალს ვერ ხედავს, განწირულია მუდმივი მარცხისთვის.

ასევეა ქვეყანაც...

ძალიან შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ის, რაც საქართველოს სჭირს, მხოლოდ რუსეთს და რუსულ პოლიტიკას დავაბრალო და არ დავინახო ის უმძიმესი შეცდომები, რომლებიც ჩვენ, ქართველებმა დაუშვეთ დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის მოპოვებისთვის ბრძოლის პირველ ეტაპზე.

სხვა დროსაც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ: მიუხედავად იმისა, რომ წინ ილიას პორტრეტი წავიშვებდარეთ, ილია გამოვაცხადეთ ჩვენს სულიერ წინამძღოლად, სინამდვილეში ილიას გზა განზე დავტოვეთ და ირაკლი წერეთლის გზით წავიდით.

ყველაფერი კი 9 აპრილს დაიწყო, როცა ქართველმა ერმა ქართული ეკლესიის წინამძღოლს არ დაუჯერა, მაგრამ,

← 9 33.

სამაგიეროდ, დაუჯერა ირაკლი წერეთელს, სრულიად ახალგაზრდა, პოლიტიკაში აბსოლუტურად გამოუცდელ ადამიანს, რომელსაც თუნდაც გამოუცდლობისა და თავისი ახალგაზრდული ასაკის გამო არ შეეძლო განეჭვრიტა, რას მოუტანდა საქართველოს ის გზა, რომლისკენაც ის ქვეყანას უბიძგებდა.

— დამოუკიდებლობას მივიღებთ თუ არა, მეორე დღეს აქ ნატოს ჯარები შემოვლენ და საქართველოს დაიცავენ! — გვარწმუნებდა სიღამონოვიჩი.

ოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ, ოცდაათი წელია ველოდებით ირაკლის ნატოს, ის კი არა და არ მოდის.

დააკვირდით, რამდენი სიღამონოვიჩი დგას დღესაც, ოცდაათი წლის შემდეგ, პარლამენტის წინ, დააკვირდით და მოუსმინეთ; ისინი დღესაც იმ სიტყვებს იმეორებენ და იმასვე ითხოვენ, რასაც ოცდაათი წლის წინათ სიღამონოვიჩი 9 აპრილის მიტინგზე ამბობდა.

გასაოცარი მსგავსებაა, თითქოს დრო არ შეცვლილა, უბრალოდ, ძველ ირაკლებს ახალი ირაკლები ჩაენაცვლნენ, რომლებმაც მთელი ამ ოცდაათი წლის განმავლობაში ვერაფერი ისწავლეს, ვერაფერს მიხვდნენ, თუმცა ერთი განსხვავება მაინც არის მათ შორის: თუ იმ ძველ ირაკლის მართლაც გულწრფელად სწამდა და სჯეროდა, რასაც ამბობდა და ამას საქართველოს გულწრფელი სიყვარულის გამო აკეთებდა, ეს ახალი ირაკლები კი თითქოს ვიღაცისგან ნასწავლ ფრაზებს იმეორებენ მექანიკურად, თითქოს რაღაც სამსახურში დადიან, როგორც დროებით დასაქმებულები.

რა შეიძლებაოდ მომხდარიყო, 9 აპრილის იმ აუბედით დამესქართველ ერს ირაკლისთვის კი არა, პატრიარქისთვის რომ დაეჯერებინა და სალოცავად ქაშუეთის ეკლესიაში გადასულიყო?

ამის გამო საბჭოთა კავშირი არ დაიშლებოდა? საქართველო დამოუკიდებლობას ვერ მიიღებდა?

9 აპრილის მსგავსი ტრაგედია, ფაქტობრივად, მსხვერპლშეწირვა, საბჭოთა კავშირში შემავალ არც ერთ რესპუბლიკაში არ მომხდარა, მაგრამ თავისუფლება და დამოუკიდებლობა ყველამ მიიღო, თანაც ისე, რომ არც არავისთან უომიათ, არც ტერიტორიები დაუკარგავთ, საბჭოთა იმპერიაც უმტკივნეულოდ დაიშალა, თუმცა ქართველებმა მალევე დავიბრალეთ, რომ საბჭოთა კავშირიც ჩვენ დავეშალეთ და აღმოსავლეთ ვეროპაც ჩვენ გაავთავისუფლეთ.

ვფიქრობ, სწორედ ამ ზეიფორიულმა წარმოდგენებმა საკუთარ როლსა და ფუნქციასზე, ამ ფსევდომესიანისტურმა ილუზიებმა, ამ საყოველთაო-სახალხო ექსტაზმა, რომელმაც რეალობის შეგრძნება დაგვიკარგა, ითამაშა საბედისწერო როლი იმ უბედურებაში, რაც სულ მალე თავს დაატყდა ჩვენს ქვეყანას.

ეროვნული მოძრაობის მთავარი შეცდომა მაინც ის იყო,



რომ ის ღიად დაუპირისპირდარუსეთს და საქართველოს უპირველეს მტრად, ქვეყნის დამოუკიდებლობის მთავარ დამაბრკოლებელ ძალად რუსეთი გამოაცხადა. შეცდომაო, კი ვთქვით, მაგრამ, საკითხავია, შეცდომა იყო ეს თუ გარედან მოსული ინსტრუქცია, ყველა უბედურების წყაროდ და სათავედ რუსეთი დასახელებულიყო.

დაახლოებით იგივე ხომ არ ხდებოდა მაშინაც, რაც ხდება დღეს, როცა დასავლეთის აშკარა ლოიალობით წაქეზებული პროპაგანდისტული ტელევიზიები, თავიანთ თავს დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ ტელევიზიებს რომ ეძახიან და ამ დროს ვიღაცების ყურმოჭრილი მონები რომ არიან, პროვინციული თავდაჯერებულობით და თავხედობით ცალმხრივად აშუქებენ მოვლენებს და როგორც ოცდაათი წლის წინათ, ახლაც ყველა უბედურებაში რუსეთს ადანაშაულებენ და ამას ისეთი პარტეპნოლოგიური ხერხებით აკეთებენ, რომელიც აშკარად ფაშისტურ ელემენტებს შეიცავს.

ამიტომაც ხომ არ ჰგვანან ასე ძალიან ეს ახალი ირაკლები ძველ ირაკლებს, ამათაც ისინი ხომ არ ჰყავთ ჭკუის დამრიგებლად და მასწავლებლად, ოცდაათი წლის წინათ სიღამონოვიჩმა რომ არწმუნებდნენ, თქვენ ოღონდ რუსეთს აგინეთ ცოცხალი და მკვდარი და ნუ გეშინიათ, აგერ ვართ ჩვენ და დაგიცავთო.

ირაკლისაც მართალი ეგონა, რასაც ეუბნებოდნენ და ქართველებს არხინად აიძებდნენ: სულ მალე ნატოს ჯარები შემოვლენ საქართველოში და ჩვენს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას ფარად აეფარებიანო.

ოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ, ოცდაათი წელია ველოდებით ირაკლის ნატოს ჯარებს, მაგრამ ამაოდ, ამასობაში კი რუსეთმა მიგვლეწ-მოგვლეწა, თუმცა ჩვენს საშველად არავინ მოსულა, ისე, როგორც არავინ მოვა ახლა, უკრაინის „კავენ-შიკ“ ხელისუფლებას და ეროვნებაარეულ არახამიას რომ დავეუჯეროთ და რუსებს რომ შევებათ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დასაბრუნებლად.

ანალიტიკოსთა ერთ ჯგუფს თუ დავეუჯერებთ, 2002 წელს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნების საკითხი თითქმის გადაწყვეტილი იყო, მაგრამ რუსულ-ქართული შეთანხმება ამერიკელებმა ჩაშალეს და შევარდნაძე პენსიაზე გაუშვეს.

არ ვიცი, რამდენად შეიძლება ვენდოთ ამ ინფორმაციას, თუმცა ის კი ყველას კარგად გვახსოვს, რომ შევარდნადის პრეზიდენტობის ბოლო წლებში ქართველები და ოსები, ფაქტობრივად, შერიგებულები ვიყავით, მაგრამ მოვიდნენ ნაცები და ყველაფერი წყალს გაატანეს.

— ნაცებზე დიდი მტერი საქართველოს არ ჰყოლიაო, — ბევრისგან თქმულა ეს და ამ აზრს მეც ვეთანხმები — ნაცები რომ ნამდვილად საქართველოს მტრები არიან, ეს დადგენილია, მაგრამ ვისი მეგობრები არიან ეს წუპაკი მამაძაღლები, ამაში ჯერჯერობით ვერა და ვერ გავერკვიეთ.

ვერ მოხერხდეს და საქართველო მუდმივი დამაბულობის კერად შენარჩუნდეს.

ზუსტად ისეა ყველაფერი, როგორც ოცდაათი წლის წინათ იყო.

ისტორია მეორდება. თუმცა, ამ შემთხვევაში, უფრო ადეკვატური იქნება, თუ ვიტყვით, რომ ისტორია კი არ მეორდება, არამედ ისტორია გრძელდება.

მზაკერობის, ფლიდობის, თვალთმაქცობის ისტორიაა ეს ისტორია, სადაც ის, ვინც მეგობრობას გეფიცება, ზურგსუკან სამარეს გითხრის, რომ შიგ ჩავარდე და სულ იქიდან ამო-



საერთოდ, რა ხდება ამ პატარა საქართველოში, ვინ ვინ არის და ვის რა უნდა, ძალიან ძნელი ამოსაცნობი აღმოჩნდა.

ფაქტი ერთია: ოცდაათი წელია, რაღაც ძალები თავგამოდებით მუშაობენ იმაზე, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ნორმალური, სტაბილური ურთიერთობების დამყარება

ფორთხების რეჟიმში იყო — ამოფორთხდები ცოტაზე, ისევ უკან გაგდებენ, კიდევ დააპირებ ამოფორთხებას და იგივე მეორდება.

როდემდე გაუძლებს ქვეყანა ამ სადომანოვისტურ ექსპერიმენტს? ხომ შეიძლება ამდენი წვალებით ერთხელაც ამოფორთხების ჟინი და სურვილი გაგვიქრეს და სამუდამოდ დავრჩეთ ფსკერზე?



* *

ცივილიზებული სამყარო — რა ცინიკურად ჟღერს ეს სიტყვები, როცა ხედავ, რა შემზარავ დანაშაულებს სჩადის ეს „ცივილიზებული სამყარო“ იქითა მხრიდანაც და აქეთა მხრიდანაც.

რით სჯობია ეს ცივილიზებული სამყარო იმ ველურ კაცივითა ტომებს, რომლებიც ქვით, შუბით, ხმლით ხოცავდნენ ერთმანეთს, რადგან მათი „ცივილიზაცია“ ერთმანეთის გასანადგურებლად უფრო დახვეწილი ტექნოლოგიების გამოყენების საშუალებას არ იძლეოდა.

დრო გავიდა, ყოფილმა ველურებმა ისწავლეს, ახალ ტექნოლოგიებს დაეუფლნენ, მასობრივი განადგურების იარაღი გამოიგონეს, მაგრამ მენტალურად ზუსტად იგივენი დარჩნენ, რაც იყვნენ მილიონი წლების უკან.

რით სჯობიან დღევანდელი პოლიტიკური ბელადები, ბაიდენები იქნებიან ესენი თუ პუტინები, მათი წინაპარი ველური ტომების ბელადებს?

რა განსხვავებაა მათ შორის გარდა იმისა, რომ ამათ, ამ ბაიდენებს, ამ პუტინებს თუ ჯონსონებს, მათი „კოლეგებისგან“ განსხვავებით, ბირთვული იარაღის დილაკზე უდევთ თითო და თუ ტვინში ჭანჭიკი გადაუბრუნდათ, შეუძლიათ მთელი სამყარო ააფეთქონ.

აქეთ პუტინი, იქით ბაიდენი, შუაში ტარაბუსავით მოპზრიალე ზელენსკი და გასანადგურებლად განწირული უბედური ადამიანები — ბავშვები, ქალები, მოხუცები, ჯარისკაცები.

* *

ამ წერილს ადღვომის დღეებში ვწერდი და წერის პროცესში სულ თვალწინ მედგა ჯვარზე გაკრული ქრისტე.

რატომ ეწამე, უფალო, ჩვენთვის, თუ ვერაფერს გავიგებდით, თუ ვერაფერს შევისმენდით, თუკი ვერაფერს ვისწავლიდით შენი სწავლებიდან, შენი თავგანწირვიდან?

საუკუნეებია, ყოველდღე გკლავენ და ყოველდღე ჯვარზე გაკრავენ ისინი, ვისთვისაც ეწამე და თავი გასწირე, არადა შენ ხარ ყველა ის ადამიანი, რომლებსაც კლავენ, აწამებენ, ანადგურებენ.

„კვირბაში პოლიტიკოსები აღარ არიან, დარჩენ მხოლოდ საშუალო დონის რინოვნელები“



რუსეთის მხარესთან სამშვიდობო მოლაპარაკებას ცეცხლის შეწყვეტაზე უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი ყოველნაირად არიდებს თავს. მართალია, საჯარო გამოსვლებში ითხოვს რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან პირისპირ შეხვედრას, „ბევრი მაქვს სათქმელი“, ამბობს, მაგრამ თემებს არ აკონკრეტებს.

მხოლოდ რუსეთს როდი ებრძვის ზელენსკი. აპრილში კიევში ჩავიდნენ პოლონეთის და ბალტიისპირეთის ქვეყნების პრეზიდენტები. მათ შორის უნდა ყოფილიყო გერმანიის პრეზიდენტი ვალტერ შტაინმაიერი, მაგრამ ზელენსკიმ მისი უკრაინაში სტუმრობა არასასურველად მიიჩნია, მაგრამ კანცლერს შესთავაზა ჩასვლა. ოლაფ შულცი განარისხა ზელენსკის თავხედობამ, რომელიც თავდაჯერებულად და არაშორსმჭვრეტელად (სავარაუდოდ, სულელად) მოიხსენია. განაწევებული შოლცი არ ესტუმრა კიევს. ექსპერტების შეფასებით, ზელენსკიმ დაკარგა რეალობის აღქმის გრძობა, მას თავი სცენაზე, გადასაღებ მოედანზე ჰგონიაო. ზელენსკიმ თავი დაიშვიდა, შტაინმაიერის გარეშე ისედაც ბევრი მეგობარი გვეყავსო. ენახოთ, რით დასრულდება ასეთი უაზრო, გადაჭარბებული პატივმოყვარეობა.

თუმცა დასავლეთის ქვეყნებს ზელენსკი სჭირდებათ, როგორც იარაღი რუსეთთან საბრძოლველად, თუნდაც უკრაინის მოსახლეობის ხარჯზე. ამიტომაც ამარაგებს თითქმის 30 ქვეყანა შეიარაღებით. მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების 5 მილიარდი ვალი დაუგროვდა უკრაინას. თუმცა აშშ აგრძელებს იარაღის მიწოდებას. აშშ ასევე განიხილავს უკრაინისთვის ლენდ-ლიზით იარაღის მიწოდებას. პროგრამის დამტკიცების შემთხვევაში უკრაინა დაუბრკოლებლად მიიღებს შეუზღუდავი რაოდენობის იარაღს. ლენდ-ლიზის პროგრამა ითვალისწინებს მოკავშირე ქვეყნებისთვის, რომელთან ერთადაც ომობს, იარაღის ვალად მიწოდებას ხანგრძლივი ვადით. აღნიშნული პროგრამა მხოლოდ ერთხელ განხორციელდა. მეორე მსოფლიო ომში აშშ საბჭოეთს აწვდიდა იარაღს. ვალის გასტუმრება რუსეთმა (როგორც საბჭოეთის მემკვიდრემ) 2006 წელს დაასრულა. როდის და როგორ შეძლებს უკრაინა ასტრონომიული ოდენობის ვალების გასტუმრებას, უცნობია. გამოდის, რომ აშშ-იც ჩართულია უკრაინაში მიმდინარე შეიარაღებულ კონფლიქტებში.

გასულ კვირას უკრაინაში ჩავიდნენ აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი და თავდაცვის მინისტრი ლოიდ ოსტინი. შეხვედრაზე ძირითადი განსახილველი საკითხი უკრაინისთვის შეიარაღების მიწოდება იყო. აქვე სათქმელია, ცალკეული ქვეყნები საკუთარი შეიარაღების ნაკლებობაზე ალაპარაკდნენ, რადგან თავიანთი შეიარაღების მნიშვნელოვანი ნაწილი უკრაინას უკვე გადასცეს.



სახელმწიფო მდივანს და თავდაცვის მინისტრს არ ჩამორჩა აშშ-ის კონგრესის სპიკერი ნენსი პელოსი, რომელიც ორი დღის წინ მოულოდნელად და საიდუმლოდ ჩავიდა კიევში. აღფრთოვანებულმა ზელენსკიმ სტუმარი მედლით დააჯილდოვა. ნენსი პელოსმა რუსეთთან ბრძოლისთვის უკრაინელებს მადლობა გადაუხადა. „...თქვენი ბრძოლა ყველა ჩვენთავანისთვისაც არის... თქვენს გვერდზე ვიქნებით, ვიდრე არ გაიმარჯვებთ“, — უთხრა პელოსმა ზელენსკის.

ექსპერტების შეფასებით, უკრაინაში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტი შესაძლოა, ახალ ფაზაში გადავიდეს. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ბორის ჯონსონის განცხადებით: „...არ გვინდა, შეიარაღებული კონფლიქტი უკრაინის ფარგლებს გაცდეს. თუმცა უკრაინელებისთვის შეიარაღების მიწოდებას გაავარძელებთ. უკრაინა უფლებამოსილია, რუსეთს მიაყენოს შეიარაღებული დარტყმა, სადაც საჭიროდ ჩათვლის, თუნდაც რუსეთის ტერიტორიაზე“. ჯონსონს ეთანხმება ენტონი ბლინკენი: „...უკრაინას უფლება აქვს, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს და გადაიტანოს საბრძოლო მოქმედებები რუსეთის ტერიტორიაზე. ამისთვის მათ შესაფერის იარაღს მივაწოდებთ“. ფაქტობრივად, აშშ და ბრიტანეთი უკრაინის საბრძოლო მოქმედების არეალის გაფართოებისკენ მოუწოდებენ.

„ევროპაში პოლიტიკოსები აღარ არიან, დარჩენ მხოლოდ საშუალო დონის ჩინოვნიკები, რომლებიც ნებისმიერ თანამდებობაზე მუშაობას დათანხმდებიან“, — ასეთი შეფასება გააკეთეს თავად ევროპელმა პოლიტოლოგებმა. ისინი განსაკუთრებით გააოცა ევროკავშირის პირველი დიპლომატის, ჟოზეპ ბარელის გამონათქვამმა: „გამარჯვება (იგულისხმება უკრაინა) უშუალოდ ბრძოლის ველზე არის მოსაპოვებელი“. მსგავსი გამონათქვამი დღემდე არცერთ დიპლომატს არ გაუკეთებია. აქედან გამომდინარე, გასაკვირი აღარ უნდა იყოს ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ელიზაბეტ ტრასის ომისკენ წამქეზებლური მოწოდება: „...საქართველომ, მოლოდინს უნდა გამოიჩინოს გამბედაობა და რუსეთს შეუტეოს“. მხედველობაში აქვს საბრძოლო მოქმედებების დაწყება. ეს მაშინ, როდესაც რუსეთთან პირდაპირ ბრძოლებში ჩართვაზე აშშ, ბრიტანეთი და ნატო ყოველნაირად თავს არიდებენ.

გაეროცვლადი ინფორმაციით, ვაშინგტონში და ვარშავაში აქტიურად განიხილავენ პოლონეთის ჯარების შესვლას დასავლეთ უკრაინაში, ოღონდ არა ნატოს ეგიდით. სავარაუდოდ, აშშ და ბრიტანეთის მიზანია,



საბრძოლო მოქმედებების ევროპაში გადატანა. გასულ კვირას ვლადიმერ პუტინმა საკანონმდებლო ორგანოს ორივე პალატის წინაშე გამოსვლისას კვლავ გააფრთხილა სამყარო: „...ჩვენ ბოლომდე მივიყვანთ უკრაინაში დაწყებულ სამხედრო ოპერაციას. თუ რომელიმე მესამე მხარე უხეშად ჩაერევა და სტრატეგიულ საფრთხეს შეგვიქმნის, ელვისებურად ვუპასუხებთ. საამისოდ გვაქვს ისეთი საშუალება და შესაძლებლობა, რომლითაც ვერავინ დაიტრახავს. ტრახავს არც ჩვენ ვაპირებთ. თუ დაგვჭირდება, ყველა საშუალებას გამოვიყენებთ!“

გასულ კვირას მოსკოვში ჩავიდა გაეროს გენერალური მდივანი ანტონიო გუტერიში. რუსეთის პრეზიდენტმა ვენდიანს დაწვრილებით მოუთხოო კონფლიქტის წარმოქმნის მიზეზებზე. მხარეებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს მარიუპოლის „აზოვსტალის“ საწარმოში ჩარჩენილი თუ მძევლად აყვანილი მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაციაზე, რომელთა გაყვანის საშუალებას უკრაინელი მებრძოლები არ აძლევდნენ. გუტერიშიმა პუტინს შესთავაზა გაეროს, „წითელი ჯვრის“ საერთაშორისო ორგანიზაციის პროცესში ჩართვა და ჰუმანიტარული კორიდორის გახსნა, რაზედაც თანხმობა მიიღო. რუსეთიდან ამის შემდეგ გუტერიში კიევში ჩავიდა, სადაც ზელენსკის შეხვდა. მასპინძელი უკმაყოფილო სახით შეხვდა სტუმარს, რადგან, მისი აზრით, გენმდივანი თავდაპირველად კიევში უნდა ჩასულიყო და არა მოსკოვში. გენმდივინის ჩართულობამ შედეგი გამოიღო — „აზოვსტალის“ ქარხანა უკვე დატოვა მშვიდობიანი მოსახლეობის ნაწილი. პროცესი გრძელდება. უკრაინული მხარე ითხოვდა, საწარმოში გამაგრებული „აზოვის“ პოლკის მებრძოლებსაც მისცემოდათ გაოსვლის საშუალება თავიანთი საბრძოლო იარაღით, რომლებიც რომელიმე მესამე ქვეყანაში გადავიდოდნენ. რუსეთის მხარე წინადადებას არ დათანხმდა, რადგან „აზოვის“ შენაერთი ტერორისტულ ორგანიზაციათა სიმაშია (აქვე სათქმელია, რომ აშშ-იც ტერორისტულ ორგანიზაციადა ითვლებოდა, ვიდრე შეიარაღებული კონფლიქტი დაიწყებოდა).

ევროკავშირში შვებთ ამოისუნთქეს — საფრანგეთის არჩევნების მეორე ტურში გამარჯვება ემანუელ მაკრონმა მოაპოვა. პირველი ტურის შემდეგ მხოლოდ 4%-ით უსწრებდა უშუალო კონკურენტს მარი ლე პენს, რომელსაც 5 წლის წინ დიდი უპირატესობით აჯობა. ახლა მაკრონმა ხმათა 58% მიიღო, ლე პენმა — 41%. თუმცა ამომრჩეველთა აქტიუობა არანახულად დაბალი იყო. ევროკავშირი აშკარად წინააღმდეგი იყო მარი ლე პენის გაპარეზიდენტების, რადგან იგი საფრანგეთში საგარეო და საშინაო პოლიტიკის რადიკალურად შეცვლას აპირებდა. ითხოვდა ასევე ევროკავშირის სტრუქტურულ რეფორმებს. ამიტომაც გაიხარეს ევროკავშირის ჩინოვნიკებმა მაკრონის გამარჯვებით. ექსპერტების შეფასებით, მეორე ვადით მისი პრეზიდენტობა იოლი ნამდვილად არ იქნება. მით უფრო, უკვე დაუშვა პოლიტიკური შეცდომა — შედეგების გამოქვეყნების შემდეგ ამომრჩევლებთან ევროკავშირის პიშნის ფონზე გავიდა და არა საფრანგეთის. ამით საკუთარი მხარდამჭერებიც გაანაწყენა. მაკრონს „მდიდრების პრეზიდენტი“ შეარქვეს, თუმცა მისმა წინამორბედმა ფრანსუა ოლანდმა მცირე შესწორება გააკეთა და „სუპერმდიდრების პრეზიდენტი“ იქნა. ფრანგები იმასაც ამბობენ, „მაკრონს საფრანგეთი სულაც არ უყვარს, რადგან საფრანგეთის პიშნს ევროკავშირის პიშნი არჩიაო“. ენახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

გასულ კვირას დასავლეთ ევროპის გამოცემებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ზელენსკიმ პრეზიდენტობის პერიოდში (არასრულ 3 წელში) 850 მილიონი დოლარი დააგროვა. საინტერესოა, საიდან აქვს უკრაინის პრეზიდენტს ისეთი თანხა. სახელფასო დანაზოგი ნამდვილად არ გახლავთ. თავად ყველა ქვეყანას ფულს სთხოვს. თუმცა ეს ჩვეულებრივი მოვლენაა მისთვის, თუ გავიხსენებთ, როგორ ულოცავდა ოლიგარქ კოლომოისკის დაბადების დღეს და იქვე ეხვეწებოდა, ფინანსურად დახმარებოდა...

ბია გურდული
551 71 27 07

„მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე“ (იოანე. 11.)

„მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე“, — ამბობს ქრისტე და იოანე მოციქული ამოწმებს: „სიტყვა იგი ზორციელ იქნა და დაემკვიდრა ჩვენს შორის და ვიხილე დიდება მისი, დიდება, ვითარცა მხოლოდშობილისა მამისა მიერ, სავეს მადლით და ჭეშმარიტებით“ (იოანე 1,14)

დაახ. 21 საუკუნის წინათ ადამიანთა შორის ზორციელად ცხოვრობდა ქრისტე, კაცი, რომლის შემდეგაც მის მიმდევრებს ქრისტიანები ეწოდათ.

მას შემდეგ ბევრი რელიგიური მიმდინარეობა ჩამოყალიბდა, ბევრი წინასწარმეტყველი ქადაგებდა ღვთის გზას, ბევრი იქმონდა სასწაულს, მაგრამ ქრისტეს-მაგვარს და მისნაირს ვერაფერს. ის ერთადერთი ახდენდა ხილულ საოცრებებს — წყალს ღვინოდ აქცევდა, ავადმყოფებს ხელის ხლებით არჩენდა, აღადგენდა მკვდრებს, ბოლოს თავადაც აღდგა მკვდრეთით, მეტიც, მკვდრეთით აღმდგარი, ანუ ფიზიკურად გაცოცხლებული, ადამიანებს გამოეცხადა და მათთან ერთად პურიც იგემა.

ფსალმუნშიც არაერთხელ არის ნახსენები და ნაწინასწარმეტყველები, რომ ღმერთი გამოაგზავნიდა თავის ძეს, რომელიც ტანჯვის შემდეგ აღდგებოდა და ამაღლდებოდა ზეცად.

ყველაფერი აღსრულდა ისე, როგორც დაწერილი იყო და როგორც თავად უფალი ამბობდა და ამცნობდა თავის ხალხს არაერთხელ თავისი წინასწარმეტყველების პირით. აღსრულდა ქრისტეს განკაცობაც, როგორც განკაცებული ღვთისა, რომელიც იყო, არის და მუდამ იქნება ერთადერთი და ჭეშმარიტი ღმერთი ყველა წინასწარმეტყველისა და ცრუ ღმერთისგან განსხვავებით, რომლებმაც ქრისტეს შემდეგ დაირქვეს რელიგიური მიმდინარეობები და ხანდახან თავად ღმერთებადაც წარმოუდგნენ ცდომილებაში ჩავარდნილ დედა მიწის ხალხებს.

ქრისტეს განკაცება ისრაელის მიწაზე მოხდა, ადგილზე, რომელსაც წმინდა მიწასაც უწოდებენ დღემდე და მართალიც არის, დიდი ბიბლიური წინასწარმეტყველნი და თვით იესოც ისრაელის მიწაზე მოღვაწეობდნენ.

მაგრამ ებრაელმა ერმა არ მიიღო ქრისტე, არც როგორც კაცი და არც როგორც მხსნელი და ღმერთი, ადამიანი, რომელიც თავს ებრაელი ხალხის და თვით მსოფლიოს მესიას და ღმერთს უწოდებდა.

ამის გამოც გაასამართლეს — თავს ისრაელის მეფეს უწოდებდა.

არ არის ღმერთი, უბრალო დურგალის ვაჟია, როგორ ბედავს ამდენსო, გასასამართლებლად ხელში რომაელებს ჩაუგდეს და როცა პილატე ებრაელებს ეუბნება ჯვარცმის წინ:

— დაველაპარაკები თქვენს იესოსო.

— ჩვენი არ არისო, — პასუხობენ ისინი.

ხოლო, როდესაც პილატე ამბობს: მეოცნებეა ეს კაცი, გარონგეთ და გაუშვითო, ებრაული სინედრიონი მთელი ძალებით იბრძვის, რომ ჯვარს აცვან და მოკლან.

სიყვარულისთვის დასჯილი ღმერთი გვეყავს ჩვენ ქრისტიანებს და ეს ცოდვა, სამწუხაროდ, ჩვენს ისტორიულ მეგობრებს ებრაელებს მიეწერებათ, აკი, მათი წინაპრები გაპყვიროდნენ ქრისტეს სასამართლოზე: ჯვარს აცვიოთ და მისი სისხლი იყოს ჩვენზე და ჩვენს შთამომავლებზეო.

ანუ განაჩენი ებრაელმა ხალხმა გამოიტანა და მას დაეკისრა,



როგორც ვიღყო — უფალს შექმნის დღიდან თავისი სასწაულები ისრაელისთვის მოეხდინა, ასევე სასჯელი, იესო ქრისტეს ჯვარცმის გამო.

სუდარა, რომელზეც ჯვარზე გაკრული ქრისტე დაასვენეს, ტურიზმი დღემდე ინახავს საიდუმლო და განსაცვიფრებელ მონაცემებს იესო ნაზარეველის, ღმერთისა და კაცის ჯვარცმისა, ტანჯვისა, სიკვდილისა და შემდგომ აღდგომის შესახებ.

ტურიზმის სუდარის მიხედვით, 30-ზე მეტჯერ სცემეს ტყვიის-თავიანი მათრახით, დაუღწევს მკერდი, ნეკნები, სცემეს სახეში, რის გამოც ცალი თვალით ჯვარცმის პერიოდში თითქმის ვეღარ ხედავდა, ეკლის გვირგვინი, რომელიც თავზე ჯარისკაცებმა ჩამოაცვეს დამცირების ნიშნად — მეფე თუ არის, გვირგვინიც უნდა ჰქონდესო, ამ გვირგვინის ეკლები თავში ერჭობოდა და სისხლი განუწყვეტლივ სდიოდა, ასე ნაწამებს ზურგზე მოპკიდეს ხის ჯვარი, რომელიც რამდენიმე კილომეტრი ატარა გოლგოთამდე, ნაცემმა, ნაგვემმა, ნაწამებმა და შეურაცხყოფილმა... შემდეგ, ჯვარზე, როგორც მკვლევარები ვარაუდობენ, გულის შეტევით გარდაიცვალა, რადგან, ჯვარზე გაკრულს, ხელებგაშლილს, სუნთქვა უჭირს თურმე და სულის შეხუთვით ან ამ შეხუთვით გამოწვეული გულის შეტევით კვდებოდნენ ჯვარზე გაკრული ადამიანებიო.

ეს იყო სასტიკი სასჯელი და საშინელი სიკვდილი ამგვარად დასჯილისთვის იმ დროში.

ასე „დასაჯეს“ ადამიანებმა ღმერთიც...

იესო, რომელიც ნამდვილად იყო ძე ღვთისა და ნამდვილად იყო თავად ღმერთი.

დედამიწაზე ყოფნისას ქრისტეს 12 მოწაფეთაგან ყველამ უღალატა. დაჭერის დღიდან თავის ტანჯვაში იესო იყო მართო. მისმა მოწაფეებმა მოძღვრისთვის, სულიერი პატრონისთვის, მოძღვრის სიცოცხლეში თავგანწირვა ვერ შეძლეს, არადა, ქრისტე ჯვარზე გაკრულიც კი არა მხოლოდ თავისი მეგობრებისთვის, არამედ მტრებისთვისაც ლოცულობდა...

დედამიწაზე უფლის ცხოვრების ისტორია ღალატის „საუკეთესო“ მაგალითია, რითაც ნათე-

ლაზე ჭკვიანი იუდა. ის გაბრიყვდა, მაგრამ სინანულის მიუხედავად, მას უკვე ჰქონდა ჩადენილი დანაშაული, რომელსაც მერე უფრო დიდი დანაშაული მიუმატა. რა თქმა უნდა, ცოდვა შობს ცოდვას, ერთ დანაშაულს ყოველთვის მეორე მოჰყვება ხოლმე. იუდას, ალბათ, არც ეგონა, ყველაფერი ასე თუ მოხდებოდა, მას არც სურდა მოძღვრის ასე სასტიკად დასჯა, პირიქით, შეიძლება უნდოდა, მოძღვარს დაემტკიცებინა მღვდელმთავრებისთვის მისი ჭკუა, ცოდნა, ღმერთობა, მაგრამ იუდა გაბრიყვდა, სიბრიყვემ ჩაადნინა ღალატი, ანუ გაუცნობიერებლად გააკეთა ყველაფერი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მას ცოდვა არ ჩაუდენია. არცოდნა არცოდნააო, რომაა ნათქვამი, ეს არ არის უპირობო პოსტულატი. იუდამ იმის მიუხედავად, რომ თავიდანვე ვერ გააცნობიერა, რას აკეთებდა, ის მაინც ცოდვილია. მან ვერც თავის ჩამოხრჩობით და ვერც სინანულით ფაქტი და დანაშაული ვერც გაანეიტრალა და ვერც ცოდვა გადაფარა, ზოგადად.



ტურიზმის სუდარა

მაგრამ რატომ გამოაგზავნა უფალმა თავისი ძე, საწამებლად? ამაზე პირდაპირი პასუხი არ არსებობს, მაგრამ არსებობს ერთი უტყუარი ჭეშმარიტება — იესო, ანუ ღმერთი დედამიწაზე განკაცდა ადამიანთა სულიერი განწმენისთვის, სულიერი ამაღლებისა და ბედნიერებისთვის, თუმცა მისმა წამებამ ადამიანის სულიერი სრულყოფილების პერსპექტივას საბოლოოდ დაუსვა წერტილი.

ადამიანმა ამით უკანასკნელი მანსიც დაკარგა და დარჩა სულიერად ხეიბარი ამ წუთისოფელში.

ყველაზე დიდი ერთგულება და თავგანწირვა კაცად გარდასახული ღმერთის მიმართ ქალებმა გამოიჩინეს.

ქალი უფრო მეტად მეგრძობლი, გამტანი და ერთგულია იმის, ვისაც ერთგულობს და თუნდაც ამ ერთგულებისთვის ის ყველაზე დიდ ტკივილებს და ტანჯვას გადის დედამიწაზე.

როდესაც ღმერთმა კაცის გარეშე, უბიწოდ ჩასახა ქრისტე, ამით მიანიშნა, რომ კაცი მეორეხარისხოვანია, ხოლო ქალი

ღვთის ქმნილება, რომელიც არის თავად ჭურჭელი ღვთის შვილის და ღვთისმშობლის შემთხვევაში, ღვთის ძისა.


სახარების მიხედვით, რაც მეტად მნიშვნელოვანია ქალი, მით უფრო დიდი ტვირთი ეძლევა მას და აი, ღვთისმშობელი საკუთარი თვალთი იხილავს საკუთარი პირმშოს ტანჯვა-წამებას. თავიდან ბოლომდე მის თვალწინ მიმდინარეობს ყველაფერი. ღვთისმშობელი, როგორც დედა, სულიერადაც და ფიზიკურადაც განიცდის შვილის ყოველ ტკივილს და ტანჯვას, რითაც მისი წამება შეიძლება უფრო მეტიც იყოს, ვიდრე თავად იესოსი.

ეს არის იგივე ჯვარზე გაკვრა საკუთარ შვილთან ერთად...

ჩვენს ქართულ მიწას უფალი ზორციელად არ უხილავს, მაგრამ მისთვის, მისი სახელისთვის, ქრისტიანობისთვის, მართლმადიდებლობისთვის, სისხლს ღვთის საქართველო ჩვენი წელთაღრიცხვით 337 წლიდან, ხოლო ხალხმა, რომელთა წინაპრებმაც თავიანთი თვალთი იხილეს მისი დიდება, დღემდე უარყოფენ კაცს, რომელიც იყო ნამდვილად ღმერთი და ამას ამტკიცებს ხილული სასწაულები, რომლებიც მოედინება მისი საფლავის ადგილიდან, ამტკიცებს ტურიზმის სუდარა, ახდენენ ხილულ სასწაულებს ქრისტესთვის ტანჯულ მოწამეთა წმინდა ნაწილები. ბოლოს და ბოლოს იერუსალიმში მართლმადიდებლურ ტაძარში ყოველ წელს წმინდა ცეცხლი გადმოდის.

თავდაპირველი ცდომილების და დანაშაულის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ებრაელებმა ბევრი დევნა, წამება და ტანჯვა გადაიტანეს, დაიფანტნენ მთელ მსოფლიოში და ერთიანი სახელმწიფო მხოლოდ მე-20 საუკუნეში შეაერთეს და ჩამოაყალიბეს ქართველის, სტალინის, ინციპტივით.

საქართველოს ებრაელები ყოველთვის აცხადებენ, რომ საქართველო მათი მეორე სამშობლოა, რადგან თავიანთ ზეზთაღსა და ოტებში ყველაზე მშვიდად ისინი საქართველოში გრძნობდნენ თავს. დღემდე საქართველოსკენ მოუწვევთ გული არა მხოლოდ აქ ნაცხოვრებ ებრაელებს, არამედ იმ ებრაელებსაც, რომლებსაც აქ არც კი უცხოვრიათ. მე თავად ვიცნობ ასეთ ადამიანებს.



დედაღვთაება



გვესაუბრება სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის ხელმძღვანელი ლევან მამალაძე (აშშ)

„ისა არ გაიგოთ, თითქოს ვიცავდა ხელისუფლებას, უბრალოდ, მე ვინდა, დაფიქრდეს საზოგადოება და მიხვდეს, სინამდვილეში, სად იმალება კაღლის თავი“



— ასეთ მკაცრ სანქციებს ვერც საფრანგეთი შეუერთდება და ვერც გერმანია. უნგრეთმა, სლოვაკეთმა და ავსტრიამ საერთოდ უარი განაცხადეს სანქციების პროცესში რაიმე სახით მონაწილეობაზე.

ბატონო ლევან, თქვენი ანალიზი ყოველთვის მიუკერძოებელია, ამიტომაც მინდა გკითხოთ, რა ხდება რეალურად რუსეთ-უკრაინის ფრონტზე?

— თუ გავითვალისწინებთ შედეგებს ომის დაწყებიდან ორი თვის თავზე, უნდა აღვნიშნო, რომ რუსეთმა ვერ მიაღწია იმ წარმატებებს, რომლებიც, სავარაუდოდ, გათვლილი ჰქონდა. მან კიევი და უკრაინის სხვა მსხვილი ქალაქები ვერ აიღო და უკანდახევა მოუწია. ახლა ვხედავთ, რომ მას მეორე ეტაპი აქვს დაწყებული დონბასზე საიერიშოდ.

იმის მიუხედავად, რომ დასავლეთის ქვეყნებს ვარაუდი ჰქონდათ, რუსეთი ჩიხში მოექცევაო, რუსეთმა ამ დარტყმას გაუძლო. რუსეთს აქვს საკმაო რესურსი, რომ საკუთარი თავი გამოკვებოს და ეკონომიკაც, გარკვეულწილად, შეინარჩუნოს. ზოგიერთები ელოდნენ, რომ რუსეთის ეროვნული ვალუტა დასუსტდებოდა და ქმედუნარი გახდებოდა, მაგრამ პირიქით მოხდა — რუსები გამყარდა უფრო მეტად, ვიდრე ის ომის დაწყებამდე იყო.

საბოლოო ჯამში, ისეთი სიტუაციაა შექმნილი, რომ ამას შეიძლება მესამე მსოფლიო ომიც კი ვუწოდოთ, რადგან, ფაქტობრივად, მთელი მსოფლიო არის ჩართული ამ პროცესებში — ფასები ყველგან მატულობს, ეკონომიკური და ფინანსური პრობლემები ყველგან თვალსაჩინო გახდა, მათ შორის, მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში, შეერთებულ შტატებში, ევროპაში. ამის მიუხედავად, ომის დამთავრება არაფერს არ აწყობს, თუმცა ფრონტზე რუსეთის შესუსტების ფონზე დასავლეთმა მკაფიო ნაბიჯები გადადგა და უკრაინას უკვე მიეწოდება ლეტალური იარაღი. თუ ადრე ჰაერსაწინააღმდეგო მობილური სისტემებით ამარაგებდნენ უკრაინას, ახლა უკვე სტაციონარულ იარაღს აწვდიან, რამაც შესაძლოა, გარდამტეხი როლი შეასრულოს ომის მსვლელობაში. ამას თან ერთვის აშშ სახელმწიფო მდივნის მოადგილის ენტონი ბლინკენის და აშშ თავდაცვის მინისტრის ვიზიტი უკრაინაში, რაც იმის დამადასტურებელია,

რომ აშშ-მა დიდი რაოდენობის თანხა გამოყოფს და დააწვევტილი აქვს იარაღის მიწოდება უკრაინისთვის. გასარკვევია, როგორ შეძლებენ ამ იარაღის უკრაინის ტერიტორიაზე შეტანას. ასეთ შემთხვევაში რუსეთი იტოვებს ერთადერთ შესაძლებლობას და აცხადებს, რომ ის გამოიყენებს ბირთვულ იარაღს — „სარმატს“, რომლის მსგავსი ჯერჯერობით დედამიწაზე არ არსებობს. მოხდება თუ არა ეს, არავინ იცის, ფაქტი კი ისაა, რომ სიტუაცია ძალიან დამაბუღია.

— თუკი რუსეთმა დაკარგა საპაერო სივრცის კონტროლი უკრაინაზე, მაშინ ის უკვე დამარცხებულია, რადგან საომარი მოქმედებები პირდაპირ მის ტერიტორიაზე გადაინაცვლებს.

რუსეთის ტერიტორიები უკვე იბომბება, მაგალითად, ბრიანსკში, ბელგოროდში, უკვე დაიბომბა ნავთობსაცავები, რაც იმის მაჩვენებელია, რომ რუსეთი არ არის სახარბიელო მდგომარეობაში, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არ უნდა ვიყოთ ფრთხილად და არ უნდა ვერიდოთ საფრთხეებს.

ჩვენ რუსეთთან კონფლიქტში ჩართვის შესაძლებლობები არ გვაქვს. ახლა არ არის 2008 წელი, მაშინ შეგვეძლო სისტემური

იქ დაიხოცნენ, გენერლების ლაჩრული საქციელის გამო ჩვენი შეიარაღებული ძალები გამოიქცნენ ბრძოლის ველიდან. დიდი ტკივილით ვამბობა ამას, თუმცა ფაქტია ეს.

მაგრამ ახლა არ არის 2008 წელი და ნებისმიერი მიზეზი შეიძლება რუსეთმა გამოიყენოს. ამისთვის სულაც არ არის საჭირო საქართველოში შემოვიდეს. მას აქვს ისეთი რაკეტები და შეიარაღება, რომ შეუძლია შორიდანაც ძალიან დიდი ზიანი მოგვაყენოს.

ის ადამიანები, რომლებიც გაპყვირიან, უფრო მეტი უნდა გავაკეთოთ და მეტად დაუფობრისპირადი რუსეთსო, ეს არის პროოკაცია.

არის კიდევ ერთი სავალალო გარემოება: ქართული მედიასაშუალებების უმეტესი ნაწილი იგივე რიტორიკას ავრცელებს, რასაც მხოლოდ უკრაინის ტელევიზიები. ქართულ საზოგადოებას არ ეძლევა საშუალება რეალობას თვალსაშინაო და სწორი ანალიზი გააკეთოს.

რიტორიკა, რომელსაც ზოგიერთი პოლიტიკური ჯგუფი ახორციელებს: საქართველომ უნდა დაუწესოს სანქციები რუსეთსო და ა.შ. გასაგებია, მაგრამ რა სანქციებზე არის საუბარი? სა-

ბიც აღკვეთდა ყოველგვარ მიმოსვლას, სავაჭრო ურთიერთობების მთლიანად გაჩერებას და რუსეთთან საზღვრის გადაკეტვას, ჩვენთვის სავალალო იქნება. ამით იმდენად დავზარალდებით, რომ სასაცილო იქნება ვთქვათ, რომ ჩვენ რუსეთს ამით ზიანს მივაყენებთ.

ადანაშაულებენ საქართველოს, ტვირთებს ატარებენო. სულაც არ სჭირდება რუსეთს არანაირი ტვირთის გატარება საქართველოზე. ბევრჯერ ითქვა და კიდევ გავიმეორებ: არსებობს უზარმაზარი ჩინეთი და თურქეთიც, რომელმაც არანაირი სანქცია არ დაწესა და პირდაპირ აცხადებენ, რომ არც აპირებენ ამის გაკეთებას. ნებისმიერი საქონლის შეტანა თურქეთიდან გეგმითაც, საპაერო გზებითაც ხდება რუსეთის მიმართულებით. ასევეა სხვა ქვეყნებიც, რომლებიც ნაწილობრივ სანქციებს აწესებენ და მოქმედებენ თავიანთი ინტერესების შესაბამისად. არც ერთ ქვეყანას არ დაუწესებია სანქცია რუსეთისთვის ისე, რომ თავიანთი ქვეყნები დაეზარალებინათ. ამ საკითხს შეერთებული შტატებიც ფრთხილად უდგება.

— ბატონო ლევან, საუბარია საწვავის და მინერალური სასუქების ექსპორტზე ევროკა-



წინააღმდეგობა გაგვეწია, მაგრამ არ გასწიეს ეს წინააღმდეგობა. სამი შემოსასვლელი ჰქონდათ რუსებს — როკის გვირაბი, აფხაზეთი, ზღვა და ჰაერი. საბოლოოდ კი მოხდა ისე, რომ ჩვენი ბიჭები

ქართველომ ყველაფერი გააკეთა ამ კონფლიქტის დროსაც, რუსეთის წინააღმდეგ საერთაშორისო ასპარეზზეც და ნებისმიერ საერთაშორისო მოედანზეც, მაგრამ პირდაპირი სანქციები, რომლე-

ვიზირის ქვეყნებში რუსეთიდან, რომლის შეზღუდვის და უარეს შემთხვევაში, შეწყვეტისას ეს სახელმწიფოები პირდაპირ კატასტროფის წინაშე აღმოჩნდებიან.

აზერბაიჯანი და სომხეთი შუა აზიის ქვეყნებთან ერთად ანალოგიურ რეჟიმში არიან და მათ მიმართ თუ არ არსებობს არავითარი პრეტენზია, საქართველოს მიმართ რატომ ხდება ასე.

საქმე იმაშია, რომ საქართველოში არსებული ე.წ. ოპოზიციური ფლანგი ცდილობს, შექმნან განწყობა, თითქოს საქართველო ნაკლებად ებრძვის რუსეთს და არ ღვას უკრაინის გვერდით. ეს იმას ნიშნავს, რომ საყრდენი ამ რადიკალურ ჯგუფებს აღარ გააჩნიათ და დარჩათ ერთადერთი ვარიანტი: გამოიწვიონ ეკონომიკური პრობლემები ქვეყანაში. ისედაც ეკონომიკური კრიზისია მთელ მსოფლიოში. ყველა ქვეყანაში მატულობს ფასები, დეფიციტური ხდება აუცილებელი პროდუქტები, მაგრამ თუკი გადავხედავთ მონაცემთა შკალას, ცხადი გახდება, რომ საქართველოში ყველაზე ნაკლები ღირს საწვავიც, მზესუმზირის ზეთიც და სხვა პროდუქტებიც. მაგრამ ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, თუკი დაწესდება სანქციები, საზღვრები მკაცრად გაკონტროლდება და ყველა სახის ურთიერთობა გაწყდება რუსეთთან, როგორი გახდება ჩვენი ბაზარი, როგორი იქნება ფასები. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვაცხადებ, რომ კატასტროფულად გაორმაგდება ფასები და შეიქმნება საკვები პროდუქტების დეფიციტი, რადგან ვერსაიდან ვერ შემოვიტანთ საქონელს.

— თურქეთიდანაც ვერ შემოვიტანთ?

— შემოვიტანთ, მაგრამ თურქები იყიდებიან და სამმაგ და ოთხმაგ ფასში მოგვიყიდიან ჩვენ, იმიტომ რომ, ჭკვიანები არიან და მათ ვერც ვერავინ უბედავს, რატომ არ უწესებთ რუსებს სანქციებსო.

ოპოზიცია კი მაინც ჯიუტად იმეორებს, დაუწესოს რუსეთს სანქციები საქართველოს ხელისუფლებამ თუ რუსეთის მომხრეები არ არიანო. ამას იმიტომ აკეთებენ, რომ მოსახლეობა გააღიზიანონ, შეუძლებელი გახადონ საქართველოში ცხოვრება, მასიური პროტესტი გამოიწვიონ და მოსახლეობა აიძულონ, ქუჩაში გამოვიდეს.

